პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б)
ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 29 მარტი, 1946 წ. № 65 (7538). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

თავდადებული შრომა სამშობლოს საკეთილდღეოდ. „პრავდის" მოწინავე. (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში. (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიის № 2 პრეს-კომუნიკე. (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა. (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება — პარტიული ორგანიზაციების ოქროს ფონდი; კადრებთან მუშაობის საკითხი რაიკომის პლენუმზე. (მე-2 გვერდი).
პროფესორი **მ. შიშნიაშვილი** — შევქმნათ მძლავრი ქიმიური მრეწველობა. (მე-2 გვერდი).
გ. გიორგაძე — სადაც მზემ მზეს გაუცინა — საზეიმოდ ტოკავს ტალღა. (მე-3 გვერდი).
მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში. (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები. დეპეშები. (მე-4 გვერდი).

თავდადებული შრომა სამშობლოს საკეთილდღეოდ

საბჭოთა ხალხი მხურვალედ შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ამ კანონში იგი ხედავს სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების, მისი ეკონომიური და კულტურული ზრდის, თავისი საარსებო დონის, თავისი კეთილდღეობის ამაღლების სტალინურ პროგრამას.

ხუთწლიანი გეგმის კანონი კიდევ უფრო შეგნებულსა და მიზანმიმსწრაფს ხდის თვითეული საბჭოთა ადამიანის პირად შრომას, ვინაიდან ეს შრომა მისი პირდაპირი და უშუალო მონაწილეობაა ახალი სტალინური ხუთწლედით დასახული დიადი ამოცანების განხორციელებაში. მსგავსად იმისა, როგორც მილიონობით ნაკადული ერთვის უნაპირო ოკეანეს, მილიონობით საბჭოთა ადამიანის შრომითი ღონისძიებანი ერთდებიან ახალი ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლის დიად საყოველთაო-სახალხო საქმედ. სადაც უნდა შრომობდეს საბჭოთა ადამიანი, რარიგ მცირედიც უნდა იყოს მისი შრომა, იგი გმირია და ახალი ცხოვრების შემოქმედი, იგი თავისი სახელმწიფოს მშენებელია, იგი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის მებრძოლია. საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ შრომა გადააქცია პატივისა და დიდების საქმედ, მამაცობისა და გმირობის საქმედ, ყოველი რიგითი მშრომელი გადააქცია საყოველთაო-სახალხო, საერთო-სახელმწიფოებრივი საქმის მონაწილედ.

საბჭოთა სახელმწიფოს უკვდავი შემოქმედი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკისათვის ყველაზე მძიმე დროს, საშინელი ნგრევისა და უამრავი სიძნელეების წლებში, ლაპარაკობდა დაუშრეტელი ძალების შესახებ, რომლებიც იმალება ხალხის წიაღში, ჩვენს ხალხში ტალანტების სიუხვის შესახებ. დიდ სტალინს სოციალისტური მშენებლობის ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპებზე არაერთხელ მიუთითებია, რომ საწარმოო გეგმა საბჭოთა წყობილების პირობებში რეალურია უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ მისი „შესრულება ახლა დამოკიდებულია მხოლოდ-დამხოლოდ ჩვენზე, ჩვენს უნარზე და ჩვენს სურვილზე გამოვიყენოთ არსებული უმდიდრესი შესაძლებლობანი", რომ ეს გეგმა მარტო ციფრებისა და დავალებების ჩამოთვლა როდია, არამედ „მილიონობით ადამიანთა ცოცხალი და პრაქტიკული საქმიანობაა".

ცხოვრებამ სტალინის სიტყვების სისწორის მრავალი მკაფიო დადასტურება მოგვცა. 13 წლის მანძილზე ბოლშევიკების პარტიამ გადააქცია ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილიდან მოწინავედ, აგრარულიდან — ინდუსტრიულად, იმიტომ, რომ სტალინური ხუთწლედები იქცნენ მილიონთა დროშად, იმიტომ, რომ ჩვენი გმირი საბჭოთა ხალხი ძალების დაუზოგავად შრომობდა, ახორციელებდა რა ჩვენი ქვეყნის დიდი ვარდამქმნელის ამხანაგ სტალინის გენიალურ წინასწარდასახულობას. ხალხის თავდადებულმა შრომამ ხელი შეუწყო საბჭოთა სამშობლოს ომის მძიმე განსაცდელის წლებში მოეპოვებინა სრული სამხედრო და ეკონომიური გამარჯვება მტერზე. იგივე შრომა მიმართულია ამჟამად ახალი სტალინური ხუთწლედის—სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და მშრომელთა საარსებო დონის ამაღლების ხუთწლედის განხორციელებისაკენ.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ამჟამად იმაში მდგომარეობს, რომ სრული სიმძლავრით გამოვიყენოთ ქვეყნად ოდესმე არსებულ ძალთაგან ეს ყველაზე უდიდესი ძალა — მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის თავისუფალი სოციალისტური შრომა, მილიონობით მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის ენტუზიაზმი და პატრიოტული ინიციატივა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა, რაც შეიძლება ფართოდ უნდა გააჩაღონ მუშაობა ხუთწლიანი გეგმის კანონის მშრომელთათვის გასაცნობად, დარაზმონ მთელი ხალხი ამ გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საბრძოლველად.

საქმე ეხება იმას, რომ თვითეულ საბჭოთა ადამიანს — მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი იქნება იგი თუ ახალგაზრდა ტრაქტორისტი, რომელიც პირველად დაჯდა ტრაქტორის საჭესთან, — ესმოდეს, რომ მის შრომაზე დამოკიდებულია ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულება, დამოკიდებულია საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცება და ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება.

ახალი ხუთწლიანი გეგმა ციფრების ნუსხა როდია. ახალი ხუთწლედი თვით ცხოვრებაა, ერთად აღებული მილიონობით ადამიანისა და ყოველი ცალკეული ადამიანის შრომაა. პარტიული ორგანიზაციების მასობრივმა პოლიტიკურმა მუშაობამ ამჟამად მთავარ მიზნად უნდა დაისახოს — თვითეული მშრომელის შეგნებაში უბრალო, მაგრამ ჭეშმარიტად უძლეველი ძალის მქონე აზრის დანერგვა: სადაც უნდა შრომობდეს იგი, რა სამუშაოსაც უნდა ასრულებდეს, — ის არის ახალი ხუთწლედისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის აქტიური მონაწილე!

განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია მჭიდროდ დავუკავშიროთ საბჭოთა ადამიანის შეგნებაში ხუთწლიანი გეგმა და მოცემული კვარტალის, თვის, დეკადის მიმდინარე ამოცანები, თვითეული საწარმოს, კოლმეურნეობის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშაობა. დაზგასთან მუშა შრომობს, ტრაქტორისტს საკოლმეურნეო მინდორზე თავისი მანქანა მიჰყავს—თუ მათ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს დღეს თავიანთი დავალებანი, თუ ისინი მათ დღითიდღე გადაჭარბებით ასრულებენ,—ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი თავიანთი პირადი შრომით ახორციელებენ ახალ სტალინურ ხუთწლედს. თუ ქარხანამ, ფაბრიკამ, შახტმა, ნავთის სარეწმა გუშინ მისცეს, დღეს აძლევენ. დღითიდღე აძლევენ სახელმწიფოს მეტ პროდუქციას, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული, — ეს იმას ნიშნავს, რომ მათს კოლექტივებს წინ მიჰყავთ ახალი ხუთწლედის საქმე. თუ კოლმეურნეობამ კარგად და დროულად დასთესა, თუ მანქანა-ტრაქტორთა სადგურში მიაღწიეს მაღალ გამომუშავებას ტრაქტორზე, — ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ ისინი ახალი ხუთწლედისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში დგანან. ამ ბრძოლის პათოსმა ხორცი უნდა შეისხას მილიონობით ადამიანთა ყოველდღიურ ბეჯით შრომაში, მათ გაბედულ ნოვატორობაში, რომელიც სძლევს ყველა და ყოველგვარ დაბრკოლებას, სახელმწიფოს ინტერესებისათვის, სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვაში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა მკაფიოდ და ზუსტად უნდა დაანახონ ხალხს მისი შრომის პერსპექტივები. ახალ ხუთწლედს, მთელ მის გრანდიოზულ მონახაზებს აქვთ საბოლოოდ ერთი მიზანი: აამაღლონ მოსახლეობის საარსებო დონე, უზრუნველჰყონ ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შრომა ყოველგვარი შემთხვევითობისაგან. ბოლშევიკების პარტია, საბჭოთა მთავრობა, დიდი სტალინი მოუწოდებენ ხალხს ახალი ხუთწლედისათვის საბრძოლველად, რათა კიდევ უკეთესად, უფრო ბედნიერად, უფრო კულტურულად ცხოვრობდნენ ჩვენი ადამიანები, რათა ჩვენი სამშობლო უფრო ძლიერი და მდიდარი იყოს! იმ ქვეყანაში, სადაც მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის, სადაც ხალხია თავისი მიწა-წყლის სიმდიდრეთა, თავისი შრომის ნაყოფის ბატონ-პატრონი,—ყველაფერი, რაც ჩვენს ქვეყანაში კეთდება, დაქვემდებარებულია ხალხის ინტერესებისა და საჭიროებისადმი, დაქვემდებარებულია მისი აყვავებისა და ბედნიერებისათვის ზრუნვისადმი.

მიმდინარე სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბოლშევიკური ბრძოლის კონკრეტულ მაგალითებზე საჭიროა აღვზარდოთ და ვამრავლოთ ახალი ხუთწლედისათვის მოწინავე მებრძოლთა არმია, მივაღწიოთ, რომ სოციალისტურმა შეჯიბრებამ აიყვანოს ჩამორჩენილნი მოწინავეთა დონემდე და გამოიწვიოს საერთო აღმავლობა. საჭიროა რაც შეიძლება ფართოდ, უფრო დაჟინებით და უნარიანად გავავრცელოთ მოწინავეთა გამოცდილება, წარმოებისა და საკოლმეურნეო შრომის უკეთესი ორგანიზაციის გამოცდილება, წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე ტექნიკის მონაპოვართა გაბედულად და გადაჭრით დანერგვის გამოცდილება. ეს იმიტომ, რომ ყოველივე ეს არის სწორედ ნამდვილი, ცოცხალი, ნამდვილად ბოლშევიკური ბრძოლა ახალი სტალინური ხუთწლედის წარმატებით განხორციელებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, მშრომელთა ცხოვრების დონის ახალი აღმავლობისათვის.

ბოლშევიკები მუდამ ძლიერნი იყვნენ თავიანთი სიახლოვით ხალხთან. ჩვენმა მასწავლებელმა და ბელადმა დიდმა სტალინმა ტყუილად როდი შეადარა ბოლშევიკები ლეგენდარულ ანთეოსს. მათ მუდამ შესწევდათ უნარი სათავეში ჩაადგომოდნენ ხალხის მასების მისწრაფებას სამშობლოს საკეთილდღეოდ თავდადებული შრომისაკენ, დაერაზმათ მასები და წაეყვანათ ისინი გამარჯვებისაკენ, იმ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისაკენ, რომლებიც იდგნენ ჩვენი ქვეყნის წინაშე მისი განვითარების თვითეულ ისტორიულ ეტაპზე. ასე იქნება ამჯერადაც! ლენინ-სტალინის პარტიის დროშით საბჭოთა ხალხი განახორციელებს თავისი დიდი ბელადის წინასწარდასახულობას — მთლიანად და გადაჭარბებით წარმატებით შეასრულებს ახალი სტალინური ხუთწლედის გეგმას!

„პრავდის" 28/III მოწინავე

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიის № 2 პრეს-კომუნიკე

ჰეიძიო, 26 მარტი. (საკდესი). სეულში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიის შემდეგი შინაარსის მეორე კომუნიკე, რომელსაც ხელს აწერენ გენერალი შტიკოვი და გენერალი არნოლდი.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კომისიის მეორე სხდომა კორეის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად გაიხსნა 22 მარტს სეულში გენერალ-მაიორ ა. ვ. არნოლდის თავმჯდომარეობით.

პირველ სხდომაზე გადაწყდა, რომ თავმჯდომარეობას რიგრიგობით ყოველკვირეულად გასწევენ გენერალ-მაიორი არნოლდი და გენერალ-პოლკოვნიკი შტიკოვი. ცალკეულ შემთხვევებში ორივე მხარის თანხმობით თავმჯდომარეთა შენაცვლება შეიძლება უფრო ხშირად მოხდეს. დათქმულ იქნა, რომ პირველ კვირაში თავმჯდომარედ იქნება გენერალი არნოლდი. გარდა ამისა, გადაწყდა, რომ კომისია თავის სხდომებს მოიწვევს ისე ხშირად, როგორც ამას დელეგაციათა მეთაურები გადასწყვეტენ, ანდა რომელიმე მათგანის თხოვნით.

თუ საჭირო გახდა, კორეის დემოკრატიული პოლიტიკური წრეებისა და პარტიების წარმომადგენლებს შეუძლიათ დაესწრონ კომისიის სხდომებს სპეციალური მიწვევით დელეგაციათა მეთაურების მიერ ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.

სხდომები ჩატარდება როგორც ინგლისურ, ისე რუსულ ენებზე.

კომისიის ყველა დოკუმენტი გაფორმდება აგრეთვე ორივე ენაზე. ამ დოკუმენტებში შეიძლება შეტანილ იქნას ოფიციალური განცხადებანი, რომლებიც კორეულ ენაზეც გადაითარგმნება.

პირველ სხდომაზე დეტალურად განისაზღვრა აგრეთვე დელეგაციათა მდივნების მოვალეობა. გადაწყდა, რომ მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება იმ დელეგაციის მდივანს, რომლის მეთაურიც თავმჯდომარეობს კომისიის სხდომაზე.

ერთობლივმა კომისიამ დაამთავრა მსჯელობა იმ მასალების გამოქვეყნების რიგზე, რომლებიც კომისიის მუშაობას აშუქებენ. კომისია სთვლის, რომ საზოგადოებრიობას და, პირველ რიგში, კორეელ ხალხს, უფლება აქვს რაც შეიძლება მეტი რამ იცოდეს ერთობლივი კომისიის იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მიმართულია კორეის დროებითი მთავრობის შექმნისათვის ხელშეწყობისაკენ, რის გამო კომისიამ გადასწყვიტა გამოაქვეყნოს ხოლმე დაწვრილებითი ერთობლივი კომუნიკე თვითეული საკითხის გადაწყვეტის შემდეგ, მაგრამ კვირაში ერთხელ მაინც.

ერთობლივი კომისია შეუდგა საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირის მიერ მის წინაშე დასმული ერთ-ერთი ამოცანის—კორეის დროებითი მთავრობის შექმნისათვის ხელშეწყობის ამოცანის განხილვას.

ამ ამოცანების შესრულების რიგი პირველ სხდომაზე თვითეული დელეგაციის მიერ წარდგენილ წინადადებათა საგანია.

დღევანდელი სხდომა მიეძღვნა კორეის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილების მე-3 განყოფილების მე-2 პუნქტის განხორციელების ტექნიკას. აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რაც დელეგაციათა შორის მოხდა, გახდება მუშაობის იმ რიგის დამტკიცების ბაზა, რომლის თანახმადაც შესრულებულ იქნება კომისიისათვის დაკისრებული ამოცანები.



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია. სურათზე: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სამგზის საბჭოთა კავშირის გმირები: საბჭოთა კავშირის მარშალი **გ. კ. ჟუკოვი** (ცენტრში), გვარდიის პოლკოვნიკი **ა. ი. პოკრიშკინი** (მარცხნივ) და გვარდიის მაიორი **ი. ნ. კოჟედუბი** კრემლის დიდ სასახლეში. ფოტო ვ. კოვრიგინის და დ. ჩერნოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

32) შეიარაღების სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: ვ. მ. რიაბიკოვი (საერთო საკითხებზე), ი. ა. ბარსუკოვი, ი. ა. მირზახანოვი, ვ. ნ. ნოვიკოვი, ნ. დ. აგეევი, ნ. პ. კარასევი.

33) საფეიქრო მრეწველობის სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: ვ. მ. სპორიშევი (საერთო საკითხებზე), ი. ნ. აკიმოვი, დ. მ. ხაზანი, ვ. ფ. ულიანოვი, ა. ვ. პროშჩინი, ს. დ. როდიჩევი.

34) სათბობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: ე. ო. მინდელი (საერთო საკითხებზე), ლ. ბ. საფრაზიანი, ა. ფ. ზასიადკო, ტ. ტ. ლიტვინოვი, მ. ფ. გორშკოვი, ნ. მ. ჩეკრიჟევი, მ. მ. ეროხინი.

35) მიწათმოქმედების სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: პ. პ. ლობანოვი (საერთო საკითხებზე), ბ. ვ. საველიევი, ი. ფ. ვასინი, ი. ა. ბორისოვი, ვ. ს. ბალიასნი, გ. პ. კუფეევი.

36) ტექნიკური კულტურების სამინისტროში — მინისტრის მოადგილეებად: მ. პ. პანასიუკი (საერთო საკითხებზე), ი. ე. პენზინი, ს. გ. ხოშტარია, ვ. ვ. კოსოვი, ა. ფ. ფედოროვი, ი. მ. სლატინი.

მილიონნახევარი მშრომელი პროფკავშირთა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში

საუბარი პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანთან ამხ. მ. ი. სიდორენკოსთან.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და პროფკავშირთა ცენტრალურმა კომიტეტებმა გააჩაღეს აღდგენითი სამუშაოები კურორტებზე, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. მარტო კაპიტალური მშენებლობისა და საჭირო მოწყობილობისათვის პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ შარშან გაიღო 90-მდე მილიონი მანეთი, წელს კი—120 მილიონი. ზედიზედ დგებიან მწყობრში ჩრდილოეთ კავკასიის, ყირიმის, შავი ზღვის სანაპიროს ჯანმრთელობის კერები, რომლებიც დამსახურებული სახელით სარგებლობენ.

წელს ზაფხულში სსრ კავშირის ტერიტორიაზე გახსნილი იქნება 700-ზე მეტი პროფკავშირული სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი. მილიონნახევარი მშრომელი გაივლის მკურნალობას და დაისვენებს მიმდინარე წლის განმავლობაში. ეს ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე შარშან იყო. განსაკუთრებული ყურადღება ექცევათ სამამულო ომის ინვალიდებს. ისინი იგზავნებიან საუკეთესო სანატორიუმებში—„კრასნაია მოსკვაში" სოჭში, № 4 სანატორიუმში სიმეიზში და სხვაგან.

ავადმყოფების პირველი პარტიები მიიღო კაპიტალურად შეკეთებულმა კისლოვოდსკის სანატორიუმმა „კრასნი შახტიორმა". იქვე სწარმოებს აღდგენა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო სანატორიუმის „კრეპოსტისა" მისი საბაზანო შენობებითა და ტალახის სამკურნალოთი. მწყობრში დგება სანატორიუმი „ხიმიკი" (სოჭა), რომელიც განკუთვნილია უმთავრესად ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის.

ომის შემდეგ პირველად გააღებენ თავიანთ კარს ყირიმის სანატორიუმები „დოლოსი", „მაიაკი", და „საკო და ვანცეტი", ტელმანის სახელობისა ჟელეზნოვოდსკში, კალინინის სახელობისა და „პროლეტარი" პიატიგორსკში. ბევრ სანატორიუმთან გახსნილია რენტგენისა და ფიზიო-თერაპიული კაბინეტები, ახლად ეწყობა ტალახით მკურნალობა. ამჟამად სწარმოებს მზადება გაზაფხულ-ზაფხულის საკურორტო-სანატორიული სეზონისათვის. სწარმოებს ფიზკულტურული მოედნებისა და ნავთა სადგურების აღდგენა და წესრიგზე მოყვანა. სანატორიუმები იღებენ მუსიკალურ ინსტრუმენტებს—როიალებს, პიანინოებს, აკორდეონებს, ბაიანებს. ეწყობა რადიოკვანძები, კინო დანადგარები.

ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას წინადადება მიეცა იზრუნონ იმისათვის, რათა სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები მშრომელებს მიეცეთ დროზე, არა უგვიანეს ორი კვირისა დასვენების ან მკურნალობის დაწყებამდე. (საკდესი).

ახალი რადიომიმღებები

ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის ქარხნებმა დაიწყეს ფართო მაუწყებლობის ახალ რადიომიმღებთა გამოშვება.

ალექსანდროვსკის რადიოქარხანამ აითვისა „რეკორდის" მარკის მიმღების წარმოება. ზომით პატარა ამ 5-ლამპიან ყველა ტალღის მიმღებს აქვს დინამიკური ხმამაღლა მოლაპარაკე. ენერგიის მიღება მას შეუძლია მუდმივი და ცვალებადი დენის ქსელისაგან. ქარხანა აწყობს აგრეთვე „სალუტის" მარკის 5-ლამპიანი ყველა ტალღის მიმღების წარმოებას.

ნოვოსიბირსკის რადიოქარხანა აწზადებს „ვოსტოკის" მარკის 7-ლამპიან რადიომიმღებს, რომელსაც აქვს დინამიკური ხმამაღლა მოლაპარაკე. უფრო ზუსტად აწყობისათვის მას აქვს ოპტიკური ასაწყობი ინდიკატორი, ეგრეთწოდებული „თვალი". ამ მიმღებს ენერგიის მიღება შეუძლია მხოლოდ ცვალებადი დენის ქსელისაგან.

რიგის რადიოქარხანა უშვებს „ვეფის" ტიპის 6-ლამპიან მიმღებს, რომელსაც აგრეთვე აქვს ოპტიკური ასაწყობი ინდიკატორი და ენერგიას იღებს ცვალებადი დენის ქსელისაგან.

სოფელი ადგილებისათვის, სადაც ელექტროენერგია არ არის, მოსკოვის რადიოქარხანა ამზადებს „როდინას" მარკის ყველა ტალღის 6-ლამპიან რადიომიმღებს. მისთვის ენერგიის მისაწოდებლად იყენებენ მშრალ ბატარიებს. ქარხანაში ხდება „მოსკვიჩის" მარკის 7-ლამპიანი მიმღების წარმოების ათვისება.

მეორე კვარტალში ლენინგრადის რადიოქარხანა გამოუშვებს მძლავრ „ლენინგრადის" მარკის გაუმჯობესებულ 12-ლამპიან რადიომიმღებს. მიმღებს ექნება ოპტიკური ასაწყობი ინდიკატორი, 4 გაჭიმული მოკლეტალღიანი დიაპაზონი და 4 რადიოსადგურის პირდაპირ ასაწყობი 4 კნოპი.

ყველა რადიომიმღებს აქვს გრამოფონის ფირფიტების დასაკრავი ადაპტორული მოწყობილობა. (საკდესი).

განახლდება გაზეთის გამოცემა პიონერებისა და მოსწავლეებისათვის

მოსკოვი, 26 მარტი. (საკდესი). 1946 წლის მაისიდან განახლდება საბავშვო გაზეთ „ნორჩი ლენინელის"—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ორგანოს გამოცემა. გაზეთი გამოვა კვირაში ერთხელ.

სსრ კავშირში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბ-ნი უოლტერ ბ. სმიტი

28 მარტს მოსკოვს ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი უ. ბ. სმიტი.

ცენტრალურ აეროდრომზე ბ-ნ უ. ბ. სმიტს შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ფ. ფ. მოლოჩკოვი, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წევრები დროებით საქმეთა რწმუნებულის ბ-ნ დ. ფ. კენანის მეთაურობით.

საბჭოთა კავშირის მარშლის საპარადო ხმალი

ლენინგრადი, 27 მარტი. (საკდესი). „რუსული ფერადი ქვების" ქარხანამ დაამთავრა საბჭოთა კავშირის მარშლის საპარადო ხმლის პირველი ეგზემპლარის დამზადება. ხმლის ვადაა და ქარქაშში ჩამულია 90 ლალი, 140 ოქრო-ქვა და ორი დიდი ოქროსფერი ტოპაზიონი. ვადის თავში ჩამულია ლალის ლამაზი ვარსკვლავი.

მარშლის პირველი საპარადო ხმალი დღეს მოსკოვს გაიგზავნა.

ჰიდროტურბინები დნეპრის ელექტროსადგურისათვის

ლენინგრადი, (საკდესი). სტალინის სახელობის ლითონის ქარხანაში დნეპრის ჰიდროელექტროსადგურისათვის შეუდგნენ 100 ათასი ცხენის ძალის სიმძლავრის პირველი ჰიდროტურბინის დამზადებას. ჰიდროტურბინის კონსტრუქცია დაამუშავა ინჟინერთა კოლექტივმა სტალინური პრემიის ლაურეატ ამხ. კოვალიოვის ხელმძღვანელობით. ამერიკულ ჰიდროტურბინებთან შედარებით მშობლიურ კონსტრუქციას მთელი რიგი უპირატესობა აქვს—წონით იგი უფრო მსუბუქია და მისი სასარგებლო მოქმედების კოეფიციენტი მაღალია.

დნეპრის ჰიდროელექტროსადგურის პირველი ტურბინი წელსვე იქნება მზად. 1947 წლის განმავლობაში ამავე სადგურისათვის ქარხანა ასეთივე სიმძლავრის კიდევ ხუთ ტურბინს დაამზადებს.

საქართველოს რკინიგზელთა დაჯილდოება სამგზავრო ვაგონების პარკის გაჯანსაღებისათვის

გზათა მიმოსვლის მინისტრის ი. კოვალიოვის ბრძანებით სამგზავრო ვაგონთა პარკის სანიმუშოდ შეკეთება, გამაჯანსაღებელი რემონტიდან 32 სამატარებლო შემადგენლობისა და 12 სანიმუშო-საჩვენებელი სამგზავრო მატარებლის გამოშვებისათვის „საპატიო რკინიგზელის ნიშნით" დაჯილდოებული არიან ამხ. დ. ი. ხარაძე, ი. ს. ცოტნიაშვილი, კ. ა. პაიჭაძე, გ. ხ. გოგიშვილი, ს. ს. ავალიშვილი, ა. ა. სტეპანოვი, მ. ე. გომარელი, პ. ლ. ჯავახაძე, გ. დ. ნემსაძე, თ. ი. გელაშვილი, ა. შ. კვახაძე, პ. ლ. პატარავა, ვ. კ. ასათიანი და სხვები, სულ 26 კაცი.

თვიური ხელფასით და სახელობითი საათით დაჯილდოებული არიან დ. ბ. ტაბატაძე, გ. ხ. წიწილაშვილი, დ. ა. ავეტისოვი, მ. ი. რადკოვი, ლ. მ. მახათაძე, დ. ი. მოსიაშვილი, ა. ს. ართილაყვა, მ. პ. გორდიენკო, ვ. ე. როპე, ბ. მ. ცინცაძე, ნ. ი. ფუტურიძე, ბ. ა. არიკოვი, ი. ა. გაგუა და სხვები, სულ 25 კაცი.

„კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა 31 მარტს

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წ. 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ცხრა შვილი „სახელოვანი დედის“ I ხარისხის ორდენით

1. **ალავიძე** მარიამ ალექსის-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ ღრელის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ბალდოევა** მაგდა პავლეს-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ ივლიტას ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
3. **ზურაბიანი** მაგრაფ ბესიას-ასული — ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ტვიბის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს რვა შვილი „სახელოვანი დედის“ II ხარისხის ორდენით

1. **ზურაბიანი** ნინო ვასილის-ასული — ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ტვიბის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ვოსკანიანი** ბარბარე (ვარია) პოღოსის-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ წყალთბილას კოლმეურნეობის წევრი;
3. **ინასარიძე** ანასტასია (ტასო) ლუკას-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ ანდრიაწმინდის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
4. **ინასარიძე** ედუსია ლონგოს-ასული—ახალციხის რაიონის სოფელ ანდრიაწმინდის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
5. **იგიტბაშევა** ტერეზა პეტროსის-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ სუფლისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
6. **მურმანიძე** ქეთევან იობის-ასული—ახალციხის რაიონის სოფელ ღრელის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
7. **ონიანი** ეკა ესტატეს-ასული — დიასახლისი, სოფელ სასაში, ქვემო სვანეთის რაიონი;
8. **საგოიანი** ერმონ პოღოსის-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ წყალთბილას კოლმეურნეობის წევრი;
9. **სუდაძე** შუშანა ეფროსინეს-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ ღრელის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
10. **ჭელიძე** დესპინე (დესპი) დავითის-ასული — ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ჩუკულის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
11. **ჩარკვიანი** მარიამ ატოს-ასული — ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ლეუშერის კოლმეურნეობის წევრი;
12. **ჯამბურიძე** ლუბა მახარობლის-ასული—ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ფანაგის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს შვიდი შვილი „სახელოვანი დედის“ III ხარისხის ორდენით

1. **ბენდელიანი** მელახან საბას-ასული — დიასახლისი, სოფელ საყდარი, ქვემო სვანეთის რაიონი;
2. **ბენდელიანი** მინა თაფუს-ასული — დიასახლისი, სოფელი საყდარი, ქვემო სვანეთის რაიონი;
3. **ბაბაიანი** სათენიკ ოჰანესის-ასული — დიასახლისი, ქალაქი ახალციხე, ახალციხის რაიონი;
4. **ბაბაჯანიანი** ევა სიმონის-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ წყალთბილას კოლმეურნეობის წევრი;
5. **გულბიანი** მელიქ ჯაბეს-ასული — ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ლუჯის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
6. **გაჩეჩილაძე** თამარ ალექსანდრეს-ასული—ახალციხის რაიონის სოფელ ზიკილიას ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
7. **დარბინიანი** ვარსენიკ პოღოსის-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ წყალთბილას კოლმეურნეობის წევრი;
8. **ზურაბიანი** ედუსი გემატოს-ასული—ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ჰველათის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
9. **კვასდიანი** ანასტასია (ტასია) ბესის-ასული — დიასახლისი, სოფელი მუწდი, ქვემო სვანეთის რაიონი;
10. **ლაბაძე** ერმონია ისიდორეს-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
11. **მუკბანიანი** პოლია ანდრიას-ასული — — დიასახლისი, სოფელი მუწდი, ქვემო სვანეთის რაიონი;
12. **ნასყიდოვა** სალომე სერაფიონის-ასული—ახალციხის რაიონის სოფელ ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
13. **მანუკიანი** პელაკ ანტონის-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
14. **სრაბიანი** სირანუშ ოჰანესის-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ ორალის კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ექვსი შვილი „დედობის მედლის“ I ხარისხის მედლით

1. **ბუხრიკიძე** ფეფუცი ლექსოს-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ საყურეთის კოლმეურნეობის წევრი;
2. **გიკოშვილი** ლუჩია პოღოსის-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ ივლიტას ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
3. **ეგიაზარიანი** სრფუი პოღოსის-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ წყალთბილას კოლმეურნეობის წევრი;
4. **ზურაბიანი** გულჩინა თეიმურაზის-ასული — ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ჰველფის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
5. **ინასარიძე** ელენე არჩილის-ასული—ახალციხის რაიონის სოფელ ანდრიაწმინდის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
6. **ინასარიძე** ნინო მარკოზის-ასული—ახალციხის რაიონის სოფელ ანდრიაწმინდის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
7. **კარაპეტოვა** შუშანა დავითის-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ სუფლისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
8. **მამუკაშვილი** ელისაბედ (ლიზა) იოსების-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ ივლიტას ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
9. **მუკბანიანი** მატრონა ალექსის-ასული — ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ჰველიერის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
10. **ნებაძე** მარინე გრიგოლის-ასული—ახალციხის რაიონის სოფელ გრელის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
11. **ოჰანესიანი** ფილომინა პოღოსის-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ წყალთბილას კოლმეურნეობის წევრი;
12. **ხაბულიანი** ევა ბესარიონის-ასული—ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ მუწდის კოლმეურნეობის წევრი;
13. **ხაბულიანი** მაგრაფ გოგიას-ასული—დიასახლისი, სოფელი მუწდი, ქვემო სვანეთის რაიონი;
14. **ხაბულიანი** პოლოსკა ივანეს-ასული—დიასახლისი, სოფელი მუწდი, ქვემო სვანეთის რაიონი;
15. **ჩოფლიანი** გულჩინა ატოს-ასული—ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ჰველფას ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
16. **ჯამკოციანი** ვერონ გრიგოლის-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ წყალთბილას კოლმეურნეობის წევრი.

დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ხუთი შვილი „დედობის მედლის“ II ხარისხის მედლით

1. **ბუხრიკიძე** ანა (ანიკო) მიხეილის-ასული—ახალციხის რაიონის სოფელ საკუნეთის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ბარძიმაძე** მარიამ (მარუსია) ქეროფის-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ მინაძის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
3. **ბლიაძე** ნუშკა სარდიონის-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ გიორგიწმინდის ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
4. **ბალაიანი** ფეფო ნერსესის-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ ჯულგის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
5. **ბაბლუიანი** მარიამ ბასილის-ასული—ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ფანაგის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
6. **გოგოლაძე** თამარ ივანეს-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ შურდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
7. **გახვიანი** ნინო (ნინუცა) გრიგოლის-ასული — ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ლეუშერის კოლმეურნეობის წევრი;
8. **გარდაფხაძე** ეფროსინე სარდიონის-ასული — ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ლეუშერის კოლმეურნეობის წევრი;
9. **ტოროსიანი** ორომსიმა მელქონის-ასული—ახალციხის რაიონის სოფელ წინუბნის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
10. **კაპანაძე** ნინო ყარამანის-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ ანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
11. **კაპანაძე** ელენე სენტოს-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ ანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
12. **ლომიძე** თამარ გიორგის-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ გიორგიწმინდის ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
13. **მატეოსიანი** სირანუშ ტრდატის-ასული — ახალციხის რაიონის სოფელ ცირას კოლმეურნეობის წევრი;
14. **შავრეშიანი** აღათი ბაშუს-ასული — ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ლეუშერის კოლმეურნეობის წევრი;
15. **ხვისტანი** ქეთევან გიოს-ასული — ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ლეუშერის კოლმეურნეობის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი
1946 წ. 18 იანვარი, ქ. თბილისი.

ხვნა-თესვა კოლმეურნეობებში

(საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროს 25 მარტის ცნობებით)

რაიონები	საგაზაფხულო ხვნის გეგმის შესრულება პროცენტობით	თესვის გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	საგაზაფხულო ხვნის გეგმის შესრულება პროცენტობით	თესვის გეგმის შესრულება პროცენტობით
აფხაზეთის ასსრ	52,5		ახალციხე		5,1
აჭარის ასსრ	5,7		ადიგენი	13,0	
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	9,6	5,1	ასპინძა	33,3	13,0
აბაშა	67,9		ხაშური	43,2	6,8
ცხაკაია	64,4		ქარელი	29,3	5,6
გეგეჭკორი	57,7		გორი	21,8	6,2
ზუგდიდი	43,7		კასპი	26,3	11,5
ხობი	69,9		ბორჯომი	4,4	1,6
წალენჯიხა	63,1		წალკა		1,8
ჩხოროწყუ	46,2		დუშეთი	19,0	6,9
მახარაძე	18,6		თეთრი წყარო	39,9	17,8
ლანჩხუთი	25,9		გურჯაანი	58,7	18,3
ჩოხატაური	29,3		კაჭრეთი	80,6	36,5
ფოთი	71,6		სიღნაღი	97,1	37,2
ქუთაისი	52,5	2,2	წითელწყარო	92,1	25,3
წყალტუბო	36,9		თელავი	56,0	9,6
სამტრედია	68,3	0,6	ახმეტა	56,5	17,8
წულუკიძე	60,9		ყვარელი	103,7	20,6
ვანი	43,5	1,9	ლაგოდეხი	61,6	9,1
მაიაკოვსკი	12,0	0,1	თბილისი	82,6	34,5
ზესტაფონი	2,1		მცხეთა	65,3	12,4
ჭიათურა	0,8	0,8	ყარაია	123,6	20,1
საჩხერე	9,5	3,4	ბორჩალო	48,2	0,5
ორჯონიკიძე	1,0	1,0	ბოლნისი	44,7	5,1
ცაგერი	0,6	0,6	საგარეჯო	28,2	10,7
ქლუხორი	35,6	24,0	ბაშკიჩეთი	13,1	0,1

25 მარტისათვის საგაზაფხულო ხვნა დაწყებული არ იყო ჩხარის, ტყიბულის, ონის, ამბროლაურის, ქვემო-სვანეთის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის, ყაზბეგისა და თიანეთის რაიონებში.

პარტიული ცხოვრება

პარტიული ორგანიზაციების ოქროს ფონდი

ტყიბულის რაიონის ასობით ომგადახდილი კომუნისტი დაუბრუნდა მშვიდობიან შრომას. მათ შეხვდებით ყველგან —შახტებში, კოლმეურნეობებში, სკოლებსა და საწარმო-დაწესებულებებში. ბევრი მათგანი, ხელმძღვანელ პარტიულ და სამეურნეო სამუშაოზეა გაგზავნილი.

კომუნისტი ა. ლობჟანიძე 1942 წლის შემოდგომაზე ვაჟკაცურად იცავდა ქალარა კავკასიონს. იგი მომსწრეა იმ გმირული ბრძოლებისა, რაც ლ. პ. ბერიას ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებმა გაუმართეს გერმანელ დამპყრობლებს. ა. ლობჟანიძემ ბრძოლით გაიარა გზა კავკასიიდან პრუსიამდე. როცა დემობილიზაციით შინ დაბრუნდა, სტალინის სახელობის შახტის მესამე უბნის ცვლის უფროსად დანიშნეს. მისი ცვლა ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს ქვანახშირის მოპოვების გეგმებს.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში შახტის პარტიულმა ორგანიზაციამ ა. ლობჟანიძეს დებულების შემსწავლელი წრის პროპაგანდისტობა დაავალა. მან კარგად შეასწავლა მეშახტეებს სტალინური კონსტიტუცია და საბჭოთა საარჩევნო კანონი. წრე, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, სანიმუშო იყო მთელ საარჩევნო უბანში. პროპაგანდისტი კვლავ ნაყოფიერად მუშაობს. მან დაწვრილებით გააცნო მეშახტეებს არჩევნების შედეგები. ახლა იგი მსმენელებს ასწავლის ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის ისტორიულ წინასაარჩევნო სიტყვას. ომგადახდილი კომუნისტის მართალი საუბარი გულში სწვდება მეშახტეებს. მას ყველა პატივს სცემს.

წითელი არმიიდან დემობილიზებული ინჟინერი ვლადიმერ გვენეტაძე გასულ წელს სტალინის სახელობის შახტის მეშვიდე უბნის უფროსად გაგზავნეს. ეს უბანი წინად ჩამორჩენილი იყო, 70-80 პროცენტით ძლივს ასრულებდა ქვანახშირის მოპოვების სადღეღამისო გეგმებს. ვლ. გვენეტაძემ მეტი ქვანახშირის მოპოვებისათვის ბრძოლა შრომის დისციპლინის განმტკიცებით დაიწყო. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შრომას სწორ ორგანიზაციას. ახლა უბანი მოწინავეთა რიგებში დგას, 120-130 პროცენტით ასრულებს ყოველდღიურ დავალებებს.

ანაპის სახელოვანი დივიზიის ყოფილი მებრძოლი კომუნისტი აკაკი ყორყოლაძე ომამდე ტყიბულში მუშაობდა. მტერთან გმირული ბრძოლებისათვის მადლიერმა სამშობლომ იგი წითელი ვარსკვლავის ორდენით და სამი მედლით დააჯილდოვა. დემობილიზაციის შემდეგ მან კვლავ ტყიბულში დაიწყო მუშაობა ახალი შახტების მშენებლობის ტრესტის საბინაო სამმართველოს უფროსად.

ა. ყორყოლაძე ჩინებულად გაუძღვა საქმეს, ამავე დროს სერიოზულ დახმარებას უწევს ტრესტის პარტიულ ორგანიზაციას მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლაში.

ახალი შახტების მშენებლობაზე წარმატებით მუშაობენ ომგადახდილი კომუნისტები სამუელ ქათამაძე, გიორგი როინიშვილი, ბენია ცირეკიძე და საშა არსენიძე. სამთო ოსტატი გ. როინიშვილი შაუთრის წყალსადენის მშენებლობის ცვლის უფროსი და ამავე მშენებლობის პარტიული ორგანიზაციის მდივანია. პირადი მაგალითით იგი აღაფრთოვანებს უპარტიო ბოლშევიკებს.

ახალგაზრდა ექიმი ვახტანგ გოგოძე ფრონტზე გვარდიულ ნაწილში იყო. იგი დაჯილდოებულია ორი ორდენით. ახლა ვ. გოგოძე ჯანმრთელობის დაცვის რაიონული განყოფილების გამგედ მუშაობს და წარმატებით უძღვება ამ მეტად პასუხსაგებ საქმეს. არჩევნებისათვის მზადების დღეებში ვ. გოგოძე ერთ-ერთი საარჩევნო უბნის აგიტპუნქტის ხელმძღვანელი იყო. სანიმუშოდ მოაწყო უბანში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. უბნის ამომრჩევლებმა ერთსულოვნად მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში და უკლებლივ მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

მშვიდობიან შრომას დაუბრუნდნენ კომუნისტი მეომრები ი. მინდიაშვილი და დ. მგელაძე. ი. მინდიაშვილი საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის სამხედრო განყოფილების ინსტრუქტორად მუშაობს, დ. მგელაძე—სახალხო განათლების რაიონული განყოფილების ინსპექტორად. არჩევნებისათვის მზადების დღეებში დ. მგელაძე სოფელ დაბაძლის საარჩევნო უბნის აგიტპუნქტის ხელმძღვანელად იყო გაგზავნილი და სანიმუშოდ ასრულებდა დავალებას.

ომგადახდილი კომუნისტები მრავლად არიან საკოლმეურნეო სოფელში. გიორგი ხუჯაძე ომამდე რიგითი კოლმეურნე იყო. ფრონტზე ყოფნის დროს ბრძოლით გაიარა გზა კავკასიიდან ბერლინამდე. მისი შორსმსროლელი არტილერია რისხვად ატყდებოდა გათავხედებულ მტერს. როცა გ. ხუჯაძე დემობილიზაციით შინ დაბრუნდა, სოფელ ქვედაჭყეპში კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. ახლა ის კარგად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობას, ამავე დროს აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია. იგი იყო საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

ასეთი მაგალითები ბევრია. ომგადახდილ კომუნისტებს სამართლიანად უწოდებენ პარტიული ორგანიზაციების ოქროს ფონდს.

დ. ქათამაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

კადრებთან მუშაობის საკითხი რაიკომის პლენუმზე

საქართველოს კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის პლენუმმა განიხილა კადრებთან მუშაობის საკითხი. მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი კადრების დარგში ამხ. დ. პეტრიაშვილი.

როგორც პლენუმზე აღინიშნა, რაიონის პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ მუშაობას ეწევიან კადრების აღზრდისა და მათი დაწინაურების დარგში. ბოლო დროს მრავალი ამხანაგი დაწინაურებულია პასუხსაგებ სამუშაოზე. გუდალეთის სკოლის დირექტორი ამხ. ე. შარაშიძე ახლა მუშაობს კომკავშირის კასპის რაიკომის მდივნად, რაიკომის პარტკაბინეტის გამგე ამხ. ვ. ალექსიძე—განათლების განყოფილების გამგედ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამამულო ომის მონაწილეთა სამუშაოზე მოწყობისა და დაწინაურების საქმეს.

მრავალი ახლად დაწინაურებული ამხანაგი სასახელოდ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. ამაში მათ ეხმარებიან პარტიული ორგანიზაციები. ქვემოგომის კოლმეურნეობის „მნათობის“ მერგოლური ს. მარიდაშვილი მშრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. იგი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით. კარგი მუშაობისათვის შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და ორი მედლით არის დაჯილდოებული ქვემოჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ა. მაჭარაშვილი. სასახელოდ მუშაობენ ინჟინერ-გეოლოგი ვ. საყვარელიძე, მექანიკოსი კ. ჩიჩელაშვილი, ცემენტის ქარხნის დირექტორი პ. სავინსკი და სხვები.

მაგრამ კადრებთან მუშაობისა და მათი დაწინაურების საქმეში სერიოზული ნაკლიც არის. ზოგან წინასწარ არ სწავლობენ დასაწინაურებელ ამხანაგებს, არ ეცნობიან მათ უნარსა და შესაძლებლობას. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ სამუშაოდან მოიხსნენ მეტეხის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ა. წვერიანოვი, ახალციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლ. ბარნოვი, გოსტიბის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე გ. ბარნოვი.

პლენუმზე მოსმენილ იქნა აგრეთვე ანგარიში პარტიაში მიღების შესახებ. პლენუმმა ორივე საკითხზე დასახა სათანადო ღონისძიებანი.

ორი ციმბირელი—ორი თაობის რუსი ჯარისკაცი—ერთმანეთს შეხვდა კრასნოიარსკის მხარის ქალაქ კანსკში. უმცროსი მათგანი ივანე გიორგის-ძე სტეპანოვი, რომელსაც 30 წელი შეუსრულდა, საბჭოთა კავშირის გმირია. მან პირადად მოსპო გერმანელთა რვა ტანკი „ვეფხვი“. უფროსი—62 წლის ვასილ ლევის-ძე ლვოვი მონაწილეობდა 1914-1918 წლების ომში გერმანელთა წინააღმდეგ, ციმბირის ერთ-ერთი პოლკის მზვერავი იყო და სრული გიორგის კავალერია. სურათზე: ვ. ლ. ლვოვი და ი. გ. სტეპანოვი.

ფოტო ს. მალობიცკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

შევქმნათ მძლავრი ქიმიური მრეწველობა

ამხანაგმა სტალინმა დიდი ამოცანები დაუსახა საბჭოთა მეცნიერებს. მან სთქვა:

„ეჭვი არ მეპარება, რომ თუ ჯეროვან დახმარებას გავუწევთ ჩვენს მეცნიერებს, ისინი შესძლებენ არამარტო დაეწიონ, არამედ უახლოეს დროში გადააჭარბონ მეცნიერების მიღწევებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ“.

ქართველი ხალხის სახელოვანმა შვილმა ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ თავის წინასაარჩევნო სიტყვაში თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე დაგვისახა საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი ზრდის კოლოსალური პერსპექტივები. მან აღნიშნა, რომ საქართველო მდიდარია სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციით, რომელმაც საპატიო როლი უნდა შეასრულოს რესპუბლიკის წინაშე მდგარ ამოცანათა წარმატებით შესრულებაში.

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენცია ენერგიას არ დაზოგავს დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისა და მისი საუკეთესო თანამებრძოლის ამხანაგ ბერიას მითითებათა შესასრულებლად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში დიდი მუშაობაა გაჩაღებული მთელი რიგი დიდი თეორიული და სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადასაჭრელად. მათ შორის არის აკადემიის ქიმიის ინსტიტუტიც, რომლის კოლექტივი მაღალი პატრიოტული შეგნებით მუშაობს.

მთელი რიგი წმინდა თეორიული საკითხების დამუშავებასთან ერთად, ქიმიის ინსტიტუტი ამუშავებს მეოთხე სტალინური ხუთწლედის გეგმით საქართველოში გათვალისწინებულ სახალხო-სამეურნეო ამოცანათა გადაჭრასთან დაკავშირებულ სამეცნიერო პრობლემებს.

პირველ რიგში გათვალისწინებულია შემდეგი დიდმნიშვნელოვანი საკითხების დამუშავება:

1. საქართველოში ჩაის თესლი, რომელსაც ამჟამად არ ვიყენებთ, რამდენიმე ათას ტონას აღწევს. ამავე დროს ეს თესლი სამრეწველო რაოდენობით შეიცავს მრავალ ისეთ პროდუქტს, რომელთაც სახალხო მეურნეობისათვის სერიოზული მნიშვნელობა აქვთ. ასეთია პროვანსის ზეთის ტიპის ზეთი, საპონინი, მთრიმლავი ნივთიერებანი, საღებავები, სახამებელი და სხვა. ინსტიტუტის ორგანული ქიმიის ლაბორატორია მიმდინარე წელს იმუშავებს ჩაის თესლის დამუშავების ტექნოლოგიაზე, რაც ჩაის თესლიდან აღნიშნულ პროდუქტთა მიღებისა და გამოყენების საშუალებას მოგვცემს.

2. ნავთობის ქიმიის ლაბორატორია სწავლობს საქართველოს ნავთობთა ქიმიურ შემადგენლობას და იკვლევს ნავთობისაგან მიღებულ ცალკეულ ფრაქციებს. ამ გამოკვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დადგენილ უნდა იქნას საქართველოს ნავთობთა გადამუშავების რაციონალური მეთოდები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საცხი ზეთების მიღებისა და მათი გაკეთილშობილების მეთოდის შერჩევას. ამას მოითხოვს საქართველოს ნავთობთა სპეციფიკურობა და მზარდი მოთხოვნილება მათზე.

3. საბჭოთა კავშირში იოდის მისაღებ ნედლეულად უმთავრესად ნავთობის საბადოების ბურღვის წყლები ითვლება. ინსტიტუტის არაორგანული ქიმიის ლაბორატორიის გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ საქართველოს ნავთობთა საბადოების (ნორიო, სუფსა) ბურღვის წყლები საწარმოო მნიშვნელობის რაოდენობით შეიცავენ იოდს, ბრომს და სუფრის მარილს. არაორგანული ქიმიის ლაბორატორიაში დამუშავებულია ბურღვის წყლებიდან ამ პროდუქტების გამოყოფის მეთოდი. განზრახულია ამ მეთოდის შემოწმება ნახევრადსაქარხნო დანადგარზე.

4. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა საჭიროებს შაბიამნის დიდ რაოდენობას. ამ პროდუქტის წარმოების მოწყობა დღევანდლამდე არ ხერხდებოდა საჭირო ნედლეულის—სპილენძისა და გოგირდმჟავის მარაგის სიმცირის გამო. ინსტიტუტის მარილთა ლაბორატორიაში დამუშავებულია ნავთის მრეწველობაში გამოყენებული გოგირდმჟავის რეგენაციის — აღდგენის რაციონალური მეთოდი. ამ მეთოდით შეიძლება წარმოებას დავუბრუნოთ გამოუყენებელი შავი გოგირდმჟავა. მეორე მხრივ, ცნობილია, რომ ბათუმის რაიონში (მერისი) არსებობს სამრეწველო მნიშვნელობის სპილენძის მადანი. ამ ნედლეულის შესწავლა და სპილენძის შაბიამნის მიღების რაციონალური მეთოდის დამუშავება განზრახულია ინსტიტუტის მარილების ლაბორატორიაში.

5. საქართველოს პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკოქსე ნახშირების ბაზის გაფართოებას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ დამატებით გამოინახოს აუცილებლად ისეთი ნახშირები, რომლებიც დამოუკიდებლად იკოქსებიან. საკმარისია ისიც, რაც უკვე ცნობილია ჩვენში — ტყვარჩელის, ტყიბულის, ახალციხის ნახშირები. საჭიროა მხოლოდ მათი გადამუშავების ტექნიკა დავაყენოთ თანამედროვე მეცნიერების მიღწევათა დონეზე. საქართველოს ნახშირების თვისებათა ხანგრძლივი შესწავლის შედეგად ქიმიის ინსტიტუტის ნახშირის ქიმიის ლაბორატორიამ გამოავლინა ტყვარჩელის ნახშირის კოქსვადობის უნარი. ამ საფუძველზე ჩატარებულ იქნა ლაბორატორიული ცდები კოქსის მიღებისა ახალციხის და ტყვარჩელის ნახშირების ნარევიდან, რამაც დადებითი შედეგი მოგვცა. ცხადია, ნახევრადსაქარხნო პირობებში ამ ცდების განმეორების შემდეგ (რაც შესაძლებელია ჩატარდეს თბილისში), პრაქტიკულად დადგება საკითხი ახალციხის ნახშირის გამოყენებისა საკოქსე კაზმის დასამზადებლად.

ასეთია იმ სამუშაოთა ხასიათი, რომლებზეც ძირითადად მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტი. ამ სამუშაოებს დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ ადგილობრივი ნედლეულის უფრო ფართოდ გამოყენებისა და არსებული ქიმიური საწარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა კ. ნ. ჩარკვიანმა საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავისათვის გაზეთ „პრავდაში“ მოთავსებულ სტატიაში აღნიშნა, რომ „საქართველოში ქიმიურ საწარმოთა მშენებლობისათვის ჯერჯერობით ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული“ და დასახა ჩვენში მძლავრი ქიმიური მრეწველობის შექმნის ამოცანა. ჩვენი, ქიმიკოსების ვალია ყოველმხრივ დავეხმაროთ პარტიასა და მთავრობას ამ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ამოცანის წარმატებით გადაჭრაში. საქართველოში ყველა პირობა არსებობს მძლავრი ქიმიური მრეწველობის შესაქმნელად და იგი კიდევაც უნდა შევქმნათ.

პროფესორი მ. შიშნიაშვილი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი.

სამხრეთ-ოსეთის საკოლმეურნეო მინდვრებზე

სტალინირი („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). კოლმეურნეობებში დაიწყო ხვნა-თესვა. 20 მარტისათვის ოლქში მოხნული იყო 941 ჰექტარი, დათესილი—696 ჰექტარი. ხვნა-თესვა ორგანიზებულად მიმდინარეობს სტალინირის რაიონის კოლმეურნეობებში. 20 მარტისათვის აქ მოხნული ჰქონდათ 449 ჰექტარი, ხოლო დათესილი—338 ჰექტარი.

ზამთრის დღეებში ემზადებოდა ხვნა-თესვისათვის სოფელ ერედვის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. ქრისტესაშვილი). აქ დროზე მოიმარაგეს და შეარჩიეს ხარისხოვანი თესლეული. მუშა-საქონელი ჯანსაღად ჰყავთ. ხვნა-თესვაც კარგად მიდის. უკვე მოხნეს და დასთესეს 35 ჰექტარი, ნაკვეთებში გაიტანეს 2.250 ცენტნერი ნაკელი, 20 ჰექტარი ნაკვეთი მომზადდა შაქრის ჭარხლის დასათესად.

გაზაფხულისათვის კარგად მოემზადნენ აგრეთვე სოფელ ბერულის, არგვიცის, ტბეთის, ავნევის, ფრინევის, ველების (ზნაურის რაიონი) კოლმეურნეობები.

ოლქის კოლმეურნეობებში ხვნა-თესვა მასობრივად დაიწყო.

ა. კრიხელი

სთესენ სწრაფად და კარგად

სოფელ ყვარლის კოლმეურნეობის „ახალი წყაროს“ წევრები დროულად მოემზადნენ გაზაფხულისათვის. მჭედლებმა ვ. ბოჭორიშვილმა და ვ. სეფაშვილმა ჯერ კიდევ იანვარში დაიწყეს სასოფლო-სამეურნეო იარაღების რემონტი. ისინი კარგად არიან მომარაგებულნი ნახშირით, რკინით და სხვა საჭირო მასალით. შეკეთებულია 11 გუთანი, ერთი კულტივატორი და სხვა იარაღები.

კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. სეფაშვილი) საგაზაფხულო კულტურების დასათესად უკვე დაამუშავა 60 ჰექტარი. ამას ხელი შეუწყო მუშა საქონლის კარგად გამოზამთრებამ. აქ თესლიც საკმაო აქვთ. სიმინდის თესვას შეუდგნენ.

კოლმეურნეობას საკმაოდ აქვს ვენახებიც. 26 ჰექტარი ვაზი დროზე გასხლეს, მოხნეს და ძირებიც დაბარეს. აღდგენილია 4 ჰექტარი ვენახი.

კოლმეურნეობაში ვენახისათვის უკვე დამზადებულია 36.000 ცალი სარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 34.000 ცალისა. მიმდინარეობს შესარვა და მინდვრად ნაკელის გატანა.

ახალწყაროელი კოლმეურნეები თავდადებით მუშაობენ უხვი მოსავლის მიღებისათვის.

გრ. ნოზაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც მზემ მზეს გაუცინა—საზეიმოდ ჭოკავს ტალღა

ეს სალუტის გრიალია, თუ ზვირთების თამაში?

ეს შაშვების ტკბილი ხმაა, თუ ჰგალობენ სირინოზნი?

ეს ფრთათეთრი თოლიები რამ დაათრო ასე ეშხით და ამ ფაფარაყრილ ზვირთებს რად მოსდევენ დასაკოცნად?

ნუთუ შავ ზღვას გული აქვს და შიგ ჩაუდგა სიხარული?

თუ გული აქვს, იტირებდა, როს მოსტაცეს დედას შვილი. იტირებდა, როს ნახავდა მეგრელ ჭაბუკს ბაწრით შეკრულს, როს მამელუკს ცრემლი ღვარად დასდიოდა ღაწვებზე და უხმობდა „ბაბაიას“.

თუ გული აქვს იტირებდა, რომ ნახავდა გურულ დედას, თმაგაწეწილს და დაკაწრულს, თავის შვილს რომ მისტიროდა, გასასყიდად გატაცებულს. ნუთუ გული გაუძლებდა „ნენა-შვილოს“ დაკივლებას!

მე ვგრძნობ, რომ ზღვას გული აქვს. აგერ ტალღა აგვედევნა. იგი ჩვენთან ერთად მოჰქრის, ტოლს არ უგდებს ჩვენს ორთქლმავალს. ორთქლმავალიც ისე მოჰქრის ამ სივრცეზე, რომ მისი ხმა სტვენად კი არა, გურულ კრიმანჭულად მესმის.

მაშ გაალეთ ნიშანსვეტი!

ოჩხამური გვეგებება, ხალიჩებით მოკაზმული. ოჩხამური! ხომ გინახავთ რა იყო აქ ოქტომბრის მზის ამოსვლამდე? ეკალ-ბარდით დაფარული გაუვალი ჯენჯყო, ლაფი, შამბ-ჯაგნარი, კოღოების სათარეშო.

დღეს აქ თითქოს ციდან თოკით მზა წალკოტი ჩამოუშვეს. მიწას გული მოუქარგავს. ამ გულს საპატიო ორდენი აბნევია. მთელი ეს ახავერდებული მიდამო, რომელმაც ფიანდაზად გადაგვიშალა თავისი აზურმუხტებული კალთები და მშობლიურ მზიან აჭარაში სამეჯლისოდ მიგვიწვია, ეკუთვნის სტალინის სახელობის ოჩხამურის ორდენოსან ჩაის საბჭოთა მეურნეობას, რომელმაც კეკლუცი აჭარა დაამშვენა თავისი აყვავებული ჩაის პლანტაციებით. ის ოქტომბრის პირმშოა, დავაჟკაცებული და გალაღებული. ის ჯერ კიდევ ნორჩი იყო 1936 წელს, როცა გულში ჩაიჭედა საქართველოს სასიქადულო შვილის ლავრენტი ბერიას სიტყვები: „1940 წლისათვის ჩვენი ჩაის პლანტაციები ისეთ მდგომარეობაში უნდა მოვიყვანოთ, რომ სრულმოსავლიანი პლანტაციებიდან ერთ ჰექტარზე საშუალოდ ვკრეფდეთ სულ მცირე ორნახევარ-სამი ათას კილოგრამ ჩაის ფოთოლსო“...

ჯერ კიდევ 1939 წელი იყო, როცა ოჩხამურელმა ბოლშევიკებმა ჩაის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 3.300 კილოგრამამდე აიყვანეს, რითაც დაიმსახურეს მთავრობის მაღალი ჯილდო—საპატიო ნიშნის ორდენი, საგამოფენო კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომი, ათი ათასი მანეთი ფულადი ჯილდო და საჩუქრად მსუბუქი მანქანაც მიიღეს.

დღეს ეს გამარჯვებული პირმშო ოქტომბრისა, ხავერდოვან ქულაჯაში გამოწყობილი, კარს გვიღებს, რომ შეგვიშვას საბჭოთა აჭარის ჩაის უხუცეს რაიონში—ქობულეთში.

მომრავლებულან მილიონერები!

ჩვენ აქ ომამდე ოთხი მილიონერი კოლმეურნეობა გვეგულებოდა.

სამამულო ომის დღეებში საუკეთესო ვაჟკაცები ფრონტზე წავიდნენ. დარჩენილები მათ ზურგს უმაგრებდნენ დაძაბული შრომით.

ამ აბიბინებულ ციტრუსოვანთა ბაღნარებს, ამ ამწვანებულ ჩაის ბუჩქებს იმიტომაც არ ატყვია უსაშინელესი ომის კვალი.

ომის ძლევამოსილად დამთავრებასთან ერთად ჩვენ შეგვიძლია მათ მივულოცოთ ხუთი ახალი მილიონერის შეძენაც! მიგვილოცნია კოლმეურნეთა ბარაქის ზრდა—31 მილიონი მანეთი საერთო ფულადი შემოსავალი გასულ წელს. მათ ეკუთვნით წითელი არმიისა და მშობელი ქვეყნის მადლობა ომის მძიმე განსაცდელში გაწეული დახმარებისათვის.

მადლობა ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს, რომ მათ 333 ტონა ჩაის ფოთოლი ჩაგვაბარეს გასულ წელს, მთლიანად შეასრულეს სახელმწიფო ვალდებულებანი და კოლმეურნეობის საერთო შემოსავალი 4 მილიონ-ნახევარ მანეთამდე აიყვანეს.

ჩვენი მილოცვა კოლმეურნეობას, რომელიც „წითელი ოქტომბრის“ სახელს ატარებს, იმისათვის, რომ შრომადღეებზე ერთ მილიონ მანეთზე მეტი გაუნაწილებია. სალამი და გამარჯვება ლენინის, სტალინის, ანდრეევის, მოლოტოვის, კალინინის, მიქოიანის, ჩარკვიანის სახელობის ახალგაზრდა მილიონერ კოლმეურნეობებს და მათს სტახანოველებს, რომლებმაც ომის დროს ფრონტული მუშაობით ასახელეს თავისი თავიც და ჩვენი სამშობლოც. კარგი საქმეა შრომადღეზე 24 მანეთის ფულად და გარდა ამისა ორი კილოგრამი სიმინდის დარიგება. და ეს ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ გააკეთა გასულ წელს. ბარაქალა 60 წლის მოხუც დიასახლისს, ამ კოლმეურნეობის წევრს ჰურიე ნაკაშიძეს, რომელსაც გასულ წელს 817 შრომადღე გამოუმუშავებია და მარტო დამატებითი პრემიის სახით მიუღია ორი ათას მანეთამდე.

კვირიკეს მივესალმოთ, ციტრუსების გამხარებელს! გავყვეთ შემდეგ და მივადგეთ ჩაის გიგანტს, ჩაქვის ჩაის, ვინც პირველმა გაახარა ჩვენს მიწაზე ეს კულტურა. მის დირექტორს ამხანაგ გოგიას მივულოცავთ გასული წლის საამაყო მაჩვენებლებს. ჩაი ისე ბლომად მოგვცა, რომ მოლოდინს გადააჭარბა. გეგმას გეგმა დაუმატა და ხარისხიც არ დაგვაკლო.

ეს იყო 45 წლის წინათ

ახალი წელი თენდებოდა და „მგზნებარე კოლხიდელს“ ბათუმში ლომჯარიას ბინაზე გაცხარებულ სჯა-ბაასში შემოათენდა როტშილდისა და მანთაშევის მუშებთან ერთად. როდესაც აჭარის მზემ პირველი სხივი სტყორცნა ლომჯარიას ბინის სარკმელს, მზემ მზეს გაუცინაო,—სთქვეს მუშებმა. სოსოს დამშვენდა მზის სხივები დაღლილ სახეზე. იგი წამოდგა, ხელში სასმისი აიღო და ის მზე ადღეგრძელა. რომელიც მშრომელი ხალხისათვის გაანათებდა. მუშებმა ადღეგრძელეს თავიანთი მზე და ეს მზე დიდი სტალინი იყო.

როდესაც აყვავებული აჭარის ამ ინდუსტრიულ ცენტრში—ბათუმში ვარ, მუდამ მინდა გავჰყვე იმ გზასა და იმ ბილიკებს, სადაც მშრომელი კაცობრიობის მხსნელი დიდი სტალინი დადიოდა.

აი ახლაც ასე მინდა გავჰყვე პუშკინის ქუჩას, მივიდე მანთაშევის ყოფილი ქარხნის მუშის კოტე კალანტაროვის ყოფილ ბინასთან, სადაც 1901-1902 წლებში არალეგალურად ცხოვრობდა და ბათუმის პროლეტარიატს ბრძოლისათვის რაზმავდა ახალგაზრდა სტალინი.

ხელით შევეხებით ცისფერ გაცრეცილ საბანს, პატარა ლამპას, კარტოფილის სანთლის ნარჩენს—ეს წმიდათა წმიდა ნივთებია. ეს ბელადის ნივთებია, რომელთაც საგულდაგულოდ ინახავენ აჭარელი ბოლშევიკები. აქედან მინდა წავიდე სოუქსუს სასაფლაოზე, სადაც 45 წლის წინათ ბათუმის მუშებს შორის იდგა ბელადი 14 მუშის კუბოსთან და 9 მარტის სისხლიანი დილის მსხვერპლთა შესახებ ამბობდა:

„ქება-დიდება თქვენ, სიმართლისათვის დაღუპულნო, ქება-დიდება იმ დედების ძუძუებს, რომელთაც თქვენ გამოგზარდათ, ქება-დიდება თქვენ, რომელთაც თავი დაიმშვენეთ ეკლის გვირგვინებით და სიკვდილის ჟამს მთრთოლვარე, გაფითრებული ტუჩებით ჩაგვჩურჩულებდით ბრძოლის შესახებ. ქება-დიდება თქვენს აჩრდილებს, მუდამ თავს რომ დაგვტრიალებენ და ყურში ჩაგვჩურჩულებენ: „შური იძიეთ სისხლითო“.

ჩვენ „შური ვიძიეთ“. დიდი ბელადის ხელმძღვანელობით გავანადგურეთ მოსისხლე მტრები და თვალუწვდენი საბჭოთა კავშირის მთელი სიმდიდრე ხალხს დავუმკვიდრეთ მუდმივ სარგებლობაში.

ეს ქარხნები, აქ რომ ბოლავენ, დაზგები, იქ რომ გრიალებენ, ის გემებიც, მოლივლივე ზღვაზე რომ ტორტმანობენ, როტშილდებსა და მანთაშევებს კი არ ეკუთვნით, არამედ აჭარისა და მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს სამსახურში დგანან. ორი ციფრიც საკმარისია იმ გიგანტური წინსვლის ნათელსაყოფად, რაც აჭარის მრეწველობას ახასიათებს განვლილი სახელოვანი 25 წლის მანძილზე. 1921 წელს აჭარის მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის მთელი ღირებულება უდრიდა 1.740 ათას მანეთს, ხოლო გასულ წელს მან გამოუშვა 106.657.200 მანეთის პროდუქცია.

როგორ მორთულ-მოკაზმულა ეს კოპწია სანავსადგურო ქალაქი, ბაღნარებით შემორკალული, ამწვანებულ ხეივნებში ჩაძირული თეთრი სახლებით, ასფალტირებული მოედნებით და ქუჩებით, ახალ გალავანშემოვლებული ბულვარით; ეს მიტომ, რომ მის კეთილმოსაწყობად საბჭოთა მთავრობამ მრავალი ათეული მილიონი გაიღო, რათა ხალხმა კულტურულად იცხოვროს და იმუშაოს.

გვასახელეს

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მიღება, რაც ბათუმის რაიონმა კოლმეურნეთა სტახანოვური შრომით დაიმსახურა, დიდად სასახელო საქმეა. ამას მათ მიაღწიეს იმის შედეგად, რომ გაადიდეს ჩაის კულტურის მოსავლიანობა. რაიონმა 112,3 პროცენტით შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილი ფოთლის 96 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო.

სამამულო ომის წლებში მილიონერებად გადაქცეულან კაგანოვიჩისა და ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობები. სტახანოვური შრომა კოლმეურნეთა ოჯახებს ბარაქით ავსებს. მაგალითად, ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში ამხ. ვ. ჩხეიძეს ოჯახის წევრებთან ერთად შარშან გამოუმუშავებია 1.200 შრომადღე და მარტო ფულად კოლმეურნეობიდან მიუღია 24.000 მანეთი. გარდა ამისა მას 11 ათასი მანეთი შემოუვიდა ნაკვეთზე გაშენებული ციტრუსების პლანტაციიდან. ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობამ ჩაის მოსავლის გადიდებით მარტო პრემია-წანამატი მიიღო 108.000 მანეთის რაოდენობით. კოლმეურნეობამ მოკრიფა და ფაბრიკას ჩააბარა 88.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, რაც გეგმის 127,8 პროცენტს შეადგენს. პლანტაციების საშუალო მოსავალი ჰექტარზე შარშან 4 ათას კილოგრამს უდრიდა. კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა აგრეთვე 264.000 ცალი ლიმონი, რაც გეგმის 250 პროცენტს აღემატება. ასე მუშაობენ აჭარელი კოლმეურნეები საბჭოთა სამშობლოს სასახელოდ.

ძმები

ნუ მთხოვთ საშვებს. მე გავჰყვები თავანკარა აჭარის წყალს. რის საზღვარი, რა საზღვარი, ვინ დაუდო ფიქრებს ზღვარი! გული ბორგავს როგორც ტალღა. აგერ ციხეს ვეხუტები. ეს ციხე ხომ თლილი ქვებით თამარ მეფის ნაგებია. ის ხიდიც ხომ წინათ, თურმე, იყო ქართველთ გასატარი. აქ ხომ ყველა ნაციხარზე ლეგენდები გამოუთქვამთ.

მე გავჰყვები აჭარის წყალს რომ ზღვის ტალღებს შეუერთდე, ან გავჰყვები თამარის ლანდს მიტაცებულ მიწებისკენ. მინდა ვნახო სისხლით ძმები არტაანსა, გიუმიშხანეს, ლაზისტანსა და ჭანეთში. მინდა დღეს მათ მივესალმო.

ნუ მთხოვთ საშვებს. რის საზღვარი? ეს ხომ ძალით გავლებული უსამართლო საზღვარია!

ეს გონიოს ციხე არის? აფსარი თუ აფსარუნტი. ეს კოლხეთის ძველი ბურჯი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. რამდენ რამის მოწმე და გადამტანია ციხის ეს კედელი! გული ბორგავს ტალღასავით, ძმებს დავეძებ, ძმებს ვეძახი!

ეს ლავრენტის სურათია, ჩვენი ქვეყნის მოამაგის. მის მადლიან სახელს ატარებს გონიოს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა. „სამი ძმა“ უნდა ვნახო. რამდენიმე წლის წინათ აქ ყოფნის დროს ამხანაგ ლავრენტი ბერიას სამი ძირი ფორთოხლისათვის სამი ძმა უწოდებია. მართლაც როგორ ჰგვანან ერთმანეთს სილამაზითაც, ტანის სისქითაც, ტოტების გაშლილობითაც, სიმაღლითაც და სხმოიარობითაც. ნამდვილი ტყუპი ძმები!

მეურნეობის დირექტორს ამხ. სევასტი ნინიძეს, პარტორგანიზაციის ხელმძღვანელს ამხ. მოსე გუმბერიძეს და უფროს აგრონომს ამხ. გრიგოლ აბრამიშვილს ეს „სამი ძმა“ განსაკუთრებული მზრუნველობის საგნად გაუხდიათ. ამიტომაც თვალწარმტაცი სანახავია „სამი ძმა“.

მეურნეობის შეხმატკბილებული კოლექტივიც ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მადლობა დაიმსახუროს.

1944 წელს ამ მეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა ორ მილიონ ცალამდე ლიმონი, სამ მილიონზე მეტი მანდარინი და 800 ათასი ფორთოხალი. იმავე წელს კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მისცა დაახლოებით ერთ მილიონ მანეთამდე წმინდა მოგება.

გასული წელიც მეურნეობამ დიდი წარმატებით დაამთავრა, გეგმა შეასრულა 133,4 პროცენტით.

მტერზე გამარჯვებისათვის

თვალსაჩინოა ის წვლილი, რომელიც აჭარის მშრომელებმა შეიტანეს მტრის განადგურების საქმეში.

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე აჭარის საუკეთესო შვილები თავის უფროს ძმებთან—ქართველი ხალხის საუკეთესო შვილებთან, საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხების შვილებთან მხარდამხარ მედგრად იბრძოდნენ ვერაგი და საძულველი მტრის წინააღმდეგ. თავისი გმირობითა და მამაცობით მათ ასახელეს სამშობლო, გააცოცხლეს ქართველი ხალხის გმირული საბრძოლო ტრადიციები.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავი ისრაფილ ჯინჭარაძე, რომელიც დაეცა ბრძოლის ველზე გმირთა სიკვდილით, მამაცი მხედართუფროსი პოლკოვნიკი ხუსეინ ბეჟანიძე, რომელმაც სახელი გაითქვა ტამანისა და კარპატების ბრძოლებში და რომლის საბრძოლო დამსახურებაც აღნიშნულია მთავრობის რამდენიმე მაღალი ჯილდოთი, პოლკოვნიკი ასლან ბაჟელიძე, რომელიც მოხსენიებული იყო უმაღლესი მთავარსარდლის გენერალისიმუს სტალინის ბრძანებაში იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის, ქერჩის გმირი კაპიტანი აბდულ წულუკიძე, რომელმაც თავი შესწირა სამშობლოს ღირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, აჭარელი ქალიშვილი ჰურიე იმნაიშვილი და მრავალი სხვა.

სამამულო ომის წლებში აჭარის მშრომელები ზურგშიც სჭედდნენ ფრონტზე გამარჯვებას, შრომობდნენ შეუსვენებლად და აწვდიდნენ წითელ არმიას, სამშობლოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსა და ნედლეულს მრეწველობისათვის. დიდი სტალინის მოწოდება—„ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის!“—გახდა საბრძოლო ლოზუნგი ყოველი აჭარელი მშრომელისათვის, რომლებიც არ ზოგავდნენ ძალ-ღონეს, ენერგიას, რათა მეტი დახმარება გაეწიათ ფრონტისათვის, წითელი არმიისათვის.

აჭარის მშრომელებმა სამამულო ომის წლებში სამშობლოს მისცეს 49.542.215 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, 1.179.607.800 ცალი ციტრუსოვანი ნაყოფი, 34.232.410 ცენტნერი თამბაქო, 8.442.279 ტონა ტუნგო, 6.743.973 კილოგრამი კარტოფილი, 2.231.824 ლიტრი რძის პროდუქტები, 3.628.941 კილოგრამი ხორცი, 2.338.145 ცალი კვერცხი, 151.618 კილოგრამი მატყლი.

აჭარის ასობით მშრომელი დაჯილდოებულია მედლით „კავკასიის დაცვისათვის“.

წითელი არმიის ძლევამოსილი ისტორიული გამარჯვებით აღფრთოვანებული აჭარის მშრომელები დაუღალავად შრომობენ იმისათვის, რომ უმოკლეს ხანში მოუშუშონ სამშობლოს ომით მიყენებული ჭრილობები.

უდიდესი აღფრთოვანება, შრომითი აღმავლობა და ენტუზიაზმი გამოიწვია ამხანაგ სტალინის მიერ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე წარმოთქმულმა ისტორიულმა სიტყვამ, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის გაშლილ პროგრამას.

აჭარის მშრომელები ერთსულოვნად დაირაზმნენ იმისათვის, რომ განუხრელად განახორციელონ დიდი სტალინის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანები, წარმატებით შეასრულონ დიად სამუშაოთა პროგრამა, რომელიც დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ.

* * *

ომგადახდილი აყვავებული საბჭოთა აჭარის თავისუფალი ხალხი, ისევე როგორც დიდი საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხი, აღფრთოვანებით შეჰყურებს თავის ბედნიერ მომავალს, ლოცავს იმ მზეს, რომელმაც იგი ბნელეთიდან გამოიყვანა. აჭარის მშრომელთა ამ განწყობილებას კარგად გამოხატავს პოეტი ნესტორ მალაზონია თავის ლექსში:

„მზის სიცილი ათბობს მიწას
საუკუნით ღამენათევს,
ეს ქვეყანა ბაღად იქცა.
რაც ოქტომბრის მზე ანათებს.
ვიცით ეს მზე. თუ ვინ დასვა
ამ ეპოქის სასახელოდ,—
აჭარელი წყალსაც არ სვამს,
რომ სტალინი არ ახსენოს“.

გერმანე გიორგაძე

ფართოდ გავაჩაღოთ საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

ტყიბულელ მეშახტეთა სიტყვა

ტყიბული („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). ტყიბულელი მეშახტეები აღფრთოვანებით შეხვდნენ დიმიტროვის სახელობისა და კიროვის სახელობის ქარხნების მუშათა კოლექტივების მიმართვას საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. 22 მარტს შახტებში შესდგა მუშათა კრებები, რომლებზეც მეშახტეებმა ახალი ვალდებულებები იკისრეს.

ლენინის სახელობის შახტში მიმართვის ტექსტი მეშახტეებს გააცნო პარტბიუროს მდივანმა ი. იოსელიანმა. შემდეგ სიტყვით გამოვიდა პირველი უბნის უფროსი ნ. ცერცვაძე, რომელმაც უბნის მუშაკთა სახელით პირობა დადო საპირველმაისოდ 4 თვის გეგმა 120 პროცენტით შეასრულოს და 15 მებიგე და მნგრეველი მოამზადოს. ამხ. ცერცვაძის უბანმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია გ. ჩიტიშვილის უბნის კოლექტივი. ამ უკანასკნელმა მიიღო გამოწვევა და იკისრა ოთხი თვის გეგმა 110 პროცენტით შეასრულოს. მნგრეველმა მ. შუბაშვილმა იკისრა ნახევარი წლის გეგმის ოთხ თვეში შესრულება, ხოლო მნგრეველმა გ. ფორჩხიძემ ოთხი თვის გეგმის 140 პროცენტით შესრულება. მთლიანად ლენინის შახტის კოლექტივმა იკისრა პირველი მაისისათვის 110 პროცენტით შეასრულოს 4 თვის გეგმა.

მიმართვისადმი მიძღვნილი კრებები შესდგა აგრეთვე სტალინის სახელობისა და გელათის შახტებში და ახალი შახტების მშენებლობაზე.

მოწოდებას გამოეხმაურნენ

ქუთაისი („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). ლიტოპონის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრებაზე, რომელიც თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნისა და დიმიტროვის სახელობის წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი ქარხნის კოლექტივთა მოწოდების განსახილველად იყო მოწვეული, სიტყვებით გამოვიდნენ სტახანოველი ხარატი ი. გოგიძე, ლიტოპონის საამქროს ცვლის უფროსი ი. კულტი და მეაპარატე ა. შიუკაშვილი. მათ ახალი საწარმოო ვალდებულებები აიღეს. მთლიანად ქარხნის კოლექტივმა საპირველმაისო შეჯიბრებაში გასამარჯვებლად იკისრა აპრილის საწარმოო გეგმა შეასრულოს 110 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება შარშანდელთან შედარებით გაადიდოს 8 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 4 პროცენტით და აითვისოს კოქსის საფქვავი დანადგარი.

ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივმა საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივი. სოხუმელებთან გასამარჯვებლად მათ იკისრეს აპრილის საწარმოო გეგმა შეასრულონ 105 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაადიდონ 3 პროცენტით, საგრძნობლად გააუმჯობესონ შეკერილი ფეხსაცმლის ხარისხი.

საპირველმაისო შეჯიბრებაში ჩაებნენ ქუთაისის კვანძის რკინიგზელებიც.

გ. მეფისაშვილი

გურჯაანელ რკინიგზელთა მიღწევები და ვალდებულებები

გურჯაანი („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). გურჯაანელ რკინიგზელთა საკვანძო კრებაზე, რომელიც მოწვეულ იქნა საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის საკითხის განსახილველად, საორთქლმავლო დეპოს უფროსმა გ. კვირიკაშვილმა საყურადღებო ცნობები გამოაქვეყნა: იანვარ-თებერვალში ორთქლმავლების გარბენის გეგმა შესრულებულია 108,5 პროცენტით, გარეცხვითი რემონტის გეგმა—100 პროცენტით, რემონტისათვის ორთქლმავლების გაცდენის დრო შემცირებულია 4,6 საათით, საწვავი მოზოგილია იანვარში 11,5 პროცენტის, ხოლო თებერვალში 13,5 პროცენტის რაოდენობით.

ამ მიღწევებით წახალისებულმა რკინიგზელებმა ახალი საწარმოო ვალდებულებები იკისრეს საპირველმაისოდ და გამარჯვების დღის—9 მაისის აღსანიშნავად. ლუნინელმა მემანქანემ ს. გიორგობიანმა იკისრა აპრილში ორთქლმავლით გარბენის თვიურ გეგმას 100 კილომეტრით გადააჭარბოს, 5 პროცენტის რაოდენობით დაზოგოს საწვავი და იმუშაოს უავაროდ. მემანქანე ნ. გელაძემ იკისრა თავისი ორთქლმავლით რემონტთაშორისო გარბენა აიყვანოს 100.000 კილომეტრამდე.

კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე კომკავშირელმა მემანქანეებმა ი. ტურიაშვილმა და ზ. ყანდინაშვილმა, დეპოს სტახანოველებმა გ. ბეგლარიშვილმა, მ. სამხარაძემ, ი. კოჭლამაზაშვილმა და სხვ.

ვ. ციხისთავი

საქართველოს მოჭადრაკეთა ჩემპიონატი

გადადებული პარტიების დამთავრება

გუშინ, 28 მარტს, დამთავრდა გადადებული პარტიები.

ოსტატმა ზაგორიანსკიმ მოუგო ოსტატ ებრალიძეს, ცინცაძემ ვეიზერს. სოროკინი დამარცხდა ფირცხალავასთან და მოუგო მალაშხიას. არუთინოვმა მოუგო სერედას და ყაიმი გააკეთა ვეიზერთან. შიშოვმა წაგებულ მდგომარეობაში საუკეთესოდ ითამაშა პეტროსიანის წინააღმდეგ და ყაიმი მოიპოვა.

გაჩეჩილაძე დამარცხდა მიკენასთან. პირველი გამარჯვება მოიპოვა ტურნირში ქარსელაძემ, რომელმაც მოუგო გაჩეჩილაძეს. დანარჩენი პარტიები კვლავ დაუმთავრებელი დარჩა.

თორმეტი ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: კერესი +11 (1 გად.), მიკენასი +10½, ზაგორიანსკი +9, პეტროსიანი +8 (1 გად.), ებრალიძე +7 (1 გად.), ცინცაძე +7, ბლაგიძე +6½ (1 გად.), შიშოვი +6 (1 გად.), სოროკინი და ჭორგაძე +6, სერედა +5 (3 გად.), ფირცხალავა +5 (2 გად.), ფალავანდიშვილი +5, გაჩეჩილაძე და მალაშხია +4½, ნერსესოვი +3½, ალმალიანი, არუთინოვი და ვეიზერი +3, ქარსელაძე +1½.

დღეს ჩემპიონატის მონაწილეები ისვენებენ. 30 მარტს გათამაშდება მეცამეტე ტური.

70.000 მანეთი ვაგონ-გამოფენის მოსაწყობად

ხაშურის რკინიგზის კვანძის მუშებმა შეაგროვეს 70.000 მანეთი, რომელიც მოხმარდება ვაგონ-გამოფენის მოწყობას თემაზე: „ამხანაგ სტალინის როლი საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში“.

დემობილიზებულთა მოწყობა

თბილისის ლენინის რაიონში მიმდინარე წლის თებერვლამდე 1915 დემობილიზებული დაბრუნდა წითელი არმიის რიგებიდან. მშრომელთა დეპუტატების რაიონულმა საბჭომ ყველა მათგანი მოაწყო სამუშაოზე და სასწავლებლებში. გასული წლის მესამე და მეოთხე კვარტალში საბინაო სამმართველომ შეაკეთა დემობილიზებულთა 93 ბინა. რემონტის ხარისხი კარგია. მიმდინარე წელს კიდევ უფრო ფართოდ გაიშლება ყოფილ ფრონტელთა ბინების რემონტი.

ბიბლიოგრაფია

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ ვლ. ჟღენტის სახელმძღვანელოები

უკანასკნელი წლების მანძილზე მრავალი სახელმძღვანელო გამოიცა მშობლიურ ენაზე სხვადასხვა დისციპლინებში. მათგან ზოგიერთი სავსებით ორიგინალურია. ასეთ ნაშრომთა რიგს მიეკუთვნებიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ ვლ. ჟღენტის სახელმძღვანელოები.

ვლ. ჟღენტმა პირველმა შეადგინა სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე პათოლოგიურ ანატომიაში, რომელიც მედიცინის საფუძველია. პათოლოგიური ანატომია წამყვანი მეცნიერებაა, რადგან დაავადებაზე სწორი წარმოდგენა, მასთან ბრძოლა, ავადმყოფის წარმატებითი მკურნალობა შეიძლება მხოლოდ იმ ცვლილებათა ცოდნის შემდეგ, რომელნიც ამ დროს ორგანიზმში ვითარდებიან.

ზოგადი პათოლოგიური ანატომიის სახელმძღვანელო გამოვიდა მეხუთე გამოცემით; მასში გაშუქებულია პათოლოგიური პროცესების პათომორფოლოგია (მაკრო და მიკრო ცვლილებანი), გენეზი და გამოსავალი. სახელმძღვანელო უხვად არის ილუსტრირებული მიკრო და მაკროსურათებით.

სპეციალური პათოლოგიური ანატომია გამოვიდა მესამე გამოცემით. წიგნი ცამეტ თავს შეიცავს და იძლევა მაკრო და მიკრომორფოლოგიურ-დინამიკურ განმარტებას თვითეული დაავადების შესახებ. იგი ამომწურავად არკვევს დაავადების ეტიოლოგიის, პათოგენეზის, პათოგენეზური მექანიზმების, უმთავრესი პათოფიზიოლოგიური გამოვლინების, სიხშირის, სიმძიმის, ზოგჯერ ისტორიულ მონაცემების საკითხებს. სახელმძღვანელოში გაშლილია ყველა მნიშვნელოვანი ნოზოლოგიური ფორმის მორფოლოგიური დინამიკა, გაშუქებულია დასაბუთებული და მიღებული თეორიები დაავადების წარმოშობის, არსის, მიმდინარეობის და სხვათა შესახებ. სახელმძღვანელო თანადროულ, სრულყოფილ, ნათელ წარმოდგენას იძლევა თვითეულ დაავადებაზე.

როგორც ზოგადი, ისე სპეციალური პათოლოგიური ანატომიის სახელმძღვანელოებში ფაქტების ახსნა-განმარტება თანამედროვე მეცნიერულ შეხედულებათა სიმაღლეზეა და ემყარება ავტორის მდიდარ გამოცდილებას.

ვლ. ჟღენტმა პირველმა აღადგინა და დაამუშავა პათოლოგიის შესაფერისი ქართული ტერმინოლოგია. საქართველოში მან პირველმა მოგვცა მარტივ და ხელმისაწვდომ ფორმებში ამა თუ იმ პროცესის მორფოლოგიურ თუ სხვაგვარ გამოვლინებათა ახსნის შესაძლებლობა. ავტორი ზუსტად იცავს უცხო სიტყვების ქართულად წარმოების პრინციპებს, აცილებს სხვა ენათა გავლენას ქართულ სპეციალურ სამეცნიერო-სამედიცინო ტერმინოლოგიას და აყალიბებს პათოლოგიური ანატომიის თავისებურ ენას.

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ ვლ. ჟღენტის სახელმძღვანელოები სანიმუშონი არიან საბჭოთა კავშირში ამ დარგში არსებულ სახელმძღვანელოებს შორის.

პათოლოგიური ანატომიის სისტემატური კურსის აღნიშნული სახელმძღვანელოები მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს მედიცინის მეცნიერებაში. ამ სახელმძღვანელოებზე აღიზარდა და იზრდება ათასობით ახალგაზრდა ექიმი.

ვლ. ვორონინი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

ირ. ტატიშვილი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

25 მარტის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 25 მარტი. (საკდესი). დღეს ტრიბუნალის დილის სხდომა დაიწყო ადვოკატ ზაიდლის გამოსვლით, რომელმაც წარადგინა დოკუმენტები ბრალდებულ ჰესის საქმის გამო, მათ შორის ჰესის მიერ 1934 წლის ივლისში წარმოთქმული სიტყვა. დამცველის აზრით, ეს სიტყვა უნდა იყოს გასამართლებელი საბუთი იმ ბრალდების წინააღმდეგ, რომ ბრალდებული ჰესი ფსიქოლოგიურად ამზადებდა ომს.

ამის შემდეგ დამცველი მოკლედ ჩერდება ბრალდებულ ჰესის ინგლისში გაფრენასთან დაკავშირებულ საკითხებზე, იმაზე, თუ როგორ მოხდა ეს გაფრენა, ვინ აწარმოებდა ბრალდებულ ჰესის დაკითხვას ინგლისში და ვის შეხვდა იგი იქ მოლაპარაკების საწარმოებლად. დამცველი, კერძოდ, აღნიშნავს, რომ ჰესი ინგლისში შეხვდა ლორდ საიმონს, რომელსაც უამბო იმ მოტივების შესახებ, რამაც იგი აიძულა ინგლისში გაფრენილიყო.

შემდეგ დამცველი აღნიშნავს, რომ ბრალდებულ რუდოლფ ჰესს ბრალი ედება იმაში, რომ იგი ჰიტლერელ შეთქმულებს ხელს უწყობდა ძალაუფლების ხელში ჩაგდებაში, აწარმოებდა სამხედრო და ფსიქოლოგიურ მომზადებას ომისათვის, მონაწილეობდა საზოგადოებრივი აზრის პოლიტიკურ ჩამოყალიბებაში და აგრესიული ომის მომზადებაში, რომელიც არღვევდა საერთაშორისო გარანტიებსა და ხელშეკრულებებს. ბრალდებულ ჰესს ბრალი ედება აგრეთვე იმაში, განაგრძობს დამცველი, რომ იგი მონაწილეობდა ნაცისტ შეთქმულთა პოლიტიკური გეგმების შედგენაში.

ამ ბრალდებებთან დაკავშირებით დამცველი იწყებს გრძელ სიტყვას, რამაც გამოიწვია შენიშვნა თავმჯდომარის მხრივ, რომელმაც დამცველს მიუთითა, რომ იგი არ უნდა ივიწყებდეს ტრიბუნალის წესებს და იმას, რომ დამცველმა ახლა არ უნდა წარმოსთქვას სიტყვა. „თქვენ მხოლოდ უნდა წარმოადგინოთ დოკუმენტები და გამოიწვიოთ მოწმეები, — ამბობს თავმჯდომარე, —ხოლო სასამართლოს უფრო გვიანდელ სტადიაში შეგიძლიათ წარმოსთქვათ სიტყვა".

ხანმოკლე შესვენების შემდეგ ტრიბუნალმა გამოიტანა გადაწყვეტილება — მოსმენილ იქნას მოწმე ბოლეს წერილობითი ჩვენება და გამოწვეულ იქნას იგი სასამართლოში ჯვარედინი დაკითხვისათვის.

მცველებს დარბაზში შემოჰყავთ მოწმე ბოლე —ჰიტლერული პარტიის საზღვარგარეთის ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელი და საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი, რომელმაც პასუხი გასცა დაცვისა და ბრალდების მთელ რიგ შეკითხვებზე.

დამცველმა ზაიდლმა გამოაქვეყნა ბოლეს წერილობითი ჩვენება, ფიცქვეშ მიცემული.

თავის წერილობით ჩვენებაში ბოლე ყოველნაირად ცდილობს მიჩქმალოს ის ფაქტი, რომ ჰიტლერული ორგანიზაციები საზღვარგარეთ ჰქმნიდნენ „მეხუთე კოლონას" და შპიონაჟის განშტოებულ ქსელს.

მოწმის დასაკითხავად სიტყვა ეძლევა ბრალდების ინგლისელ წარმომადგენელს გრიფიტს ჯონსს.

— იყენებდნენ თუ არა ნაცისტურ ორგანიზაციებს საზღვარგარეთ, — ეკითხება ბრალმდებელი, — რათა სამხედრო ან ნახევრადსამხედრო დახმარება გაეწიათ გერმანიის არმიისათვის, რომელიც ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში იბრძოდა?

ბოლე უარყოფითს პასუხს იძლევა.

ბრალმდებელი: საკმაოდ კარგად იყო თუ არა მოწყობილი საზღვარგარეთული ნაცისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშგება თავისი ცენტრის წინაშე ბერლინში?

მოწმე: დიახ.

ბრალმდებელი: თქვენ ინფორმაციას რადიოთი იღებდით?

მოწმე: არა, უშუალო კავშირი არა გვქონია.

ბრალმდებელი სიცრუეში იჭერს მოწმე ბოლეს. იგი აქვეყნებს გერმანიის მადრიდელი ელჩის დეპეშას იმის შესახებ, რომ გერმანიის ჰიტლერული ორგანიზაციის ხელმძღვანელს ესპანეთში შეუძლია მიიღოს შესაფერი შენობა თავისი განყოფილებებისათვის, აგრეთვე ფრიად მოხერხებული ოთახი საიდუმლო რადიოსადგურისათვის, რომელიც მანამდე სკოლაში ჰქონდათ დამალული.

ეს დეპეშა გაგზავნილი იყო ბოლეს სახელზეც.

— ამის შემდეგაც განაგრძობთ მტკიცებას, — ამბობს მადრიდიდან გაგზავნილი დეპეშის წაკითხვის შემდეგ ბრალმდებელი, — რომ ნაცისტური ორგანიზაციები ესპანეთში შპიონაჟს არ ეწეოდნენ?

— ნაცისტური ორგანიზაციის ცალკეული წევრები ეწეოდნენ შპიონაჟს, — აცხადებს მოწმე ბოლე.

მაშინ ბრალმდებელი აქვეყნებს რუმინეთში გერმანული ფაშისტური ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელის კონრადის წერილს, რომელშიც ნათქვამია, რომ ჰიტლერული საზღვარგარეთული ორგანიზაციები ბერლინის ცენტრიდან (ესე იგი მოწმე ბოლესაგან) მიღებულია დაწვრილებითი ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ რა ვრცელი და ყოველმხრივი ჯაშუშური საქმიანობა უნდა გაეწია ჰიტლერულ ორგანიზაციას რუმინეთში.

ბრალმდებელმა ტრიბუნალს აგრეთვე მამხილებელ მასალად წარუდგინა გერმანული საბუთები, რომლებიც ადასტურებენ, რომ გერმანული ფაშისტური ორგანიზაციები სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიურ შპიონაჟს ეწეოდნენ ჰოლანდიაში, ნორვეგიასა და საბერძნეთში.

25 მარტის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა მოწმე ბოლეს ჯვარედინი დაკითხვა. ბრალდების ინგლისელი წარმომადგენელი გრიფიტს ჯონსი არკვევს, რომ ჰიტლერული პარტიის ეგრეთწოდებული საზღვარგარეთული ორგანიზაცია ფართო შპიონაჟს ეწეოდა, აქტიურად თანამშრომლობდა გერმანულ დაზვერვასა და კონტრდაზვერვასთან.

თავისი განშტოებული აგენტურისაგან მიღებულ ინფორმაციას ბოლე აძლევდა ბრალდებულ ჰესს, რომელიც მოახსენებდა ჰიტლერს. ჰესი, როგორც მოწმე აღიარებს, ასეთსავე ინფორმაციას იღებდა ჰამბურგის გერმანული სანაოსნო კომპანიებისაგან.

დაკითხვას იწყებს ბრალდების ამერიკელი წარმომადგენელი პოლკოვნიკი ემინი. უპასუხებს რა მის შეკითხვებზე, მოწმე აღიარებს, რომ ჰიტლერული პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაცია მუდამ ხელმძღვანელობდა შეერთებულ შტატებში მოქმედი ეგრეთწოდებული „გერმანია-ამერიკის კავშირის" ძირგამომთხრელ საქმიანობას.

შემდეგი დაკითხვა ცხადჰყოფს, რომ არა მარტო ჰიტლერული პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაცია, არამედ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროც თავისი საელჩოთი და კონსულებით შეერთებულ შტატებში მჭიდროდ იყო დაკავშირებული „გერმანია-ამერიკის კავშირთან", აწყობდა და წარმართავდა მის ძირგამომთხრელ საქმიანობას.

დამცველი იწვევს ახალ მოწმეს კარლ შტრელინს, ეგრეთწოდებული „გერმანიის საერთაშორისო ინსტიტუტის" ყოფილ მეთაურს, თავგამოდებულ ჰიტლერელს, მოიერიშე რაზმების ობერგრუპენფიურერს. მოწმე, რა თქმა უნდა, უარჰყოფს, რომ ინსტიტუტი ეწეოდა ჯაშუშურ მუშაობას, ან რაიმე კავშირი ჰქონდა ჰიტლერული პარტიის საზღვარგარეთულ ორგანიზაციასა და ჰესთან. ცოტა უფრო გვიან ბრალდებამ სიცრუეში დაიჭირა მოწმე. უკანასკნელმა აღიარა, რომ ინსტიტუტს კავშირი ჰქონდა ჰიტლერული პარტიის საზღვარგარეთულ ორგანიზაციასთან. აღმოჩნდა, რომ ეს ინსტიტუტი კადრებს ამზადებდა გერმანული „მეხუთე კოლონებისათვის" ყველა ქვეყანაში. მოწმე აღიარებს, რომ მისი „გერმანული ინსტიტუტი" მუდამ დაკავშირებული იყო ჰიტლერული პარტიის საზღვარგარეთულ ორგანიზაციასთან, რომელსაც იგი ყველაფერში ეხმარებოდა. ირკვევა, რომ თვითონ მოწმესაც კონტაქტი ჰქონდა დამყარებული ჰესის წარმომადგენელ პროფესორ ჰაუსჰოფერთან. ჰაუსჰოფერი ამ ინსტიტუტის შეკრებებს ესწრებოდა და დირექტივებს იძლეოდა ჰესის სახელით.

ბრალდების ამერიკელი წარმომადგენელი ემინი არკვევს, რომ მოწმე როგორც „გერმანიის საერთაშორისო ინსტიტუტის" მეთაური დაკავშირებული იყო „გერმანია-ამერიკის კავშირთან", რომლის ერთ-ერთ მიტინგზე ნიუ-იორკში მან ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. მოწმე იძულებულია აღიაროს, რომ „გერმანიის საერთაშორისო ინსტიტუტის" მრავალი წევრი შედიოდა „გერმანია-ამერიკის კავშირში" და ეწეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობას.

ამით მთავრდება ტრიბუნალის საღამოს სხდომა.

26 მარტის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 26 მარტი. (საკდესი). ტრიბუნალის დილის სხდომის დასაწყისში ბრალდებულ ჰესის დამცველმა ადვოკატმა ზაიდლმა გამოაქვეყნა ბრალდებულის ძმის ალფრედ ჰესის წერილობითი ჩვენება საზღვარგარეთ ჰიტლერული პარტიის ორგანიზაციის საქმიანობის თაობაზე.

ახასიათებს რა თავისი ძმის—ბრალდებულ ჰესის დამოკიდებულებას გერმანელთა საზღვარგარეთული ორგანიზაციისადმი, მოწმე ახასიათებს მას, თითქმის როგორც მებრძოლს საზღვარგარეთ ჰიტლერელთა ლოიალური საქმიანობიათვის.

მოწმის ეს განცხადება სასამართლოს დარბაზში სიცილსა და ირონიულ ღიმილს იწვევს, რადგან ჯერ კიდევ ყველას კარგად ახსოვს ბრალდების უდავო დოკუმენტები, რომლებმაც ცხადჰყვეს საზღვარგარეთ ჰიტლერული „მეხუთე კოლონის" დანაშაულებრივი საქმიანობა.

ამის შემდეგ დამცველი აქვეყნებს თავის დოკუმენტების მესამე წიგნს ბრალდებულ ჰესის საქმის შესახებ. ეს წიგნი, როგორც მას დამცველი ტრიბუნალს წარუდგენს, უმთავრესად შეიცავს საზღვარგარეთელი სახელმწიფო მოღვაწეების, დიპლომატებისა და ეკონომისტების მიერ გამოთქმულ აზრებს და მათი წიგნებიდან და სიტყვებიდან ამოღებულ ციტატებს ვერსალის ხელშეკრულების წარმოშობის საკითხზე, ვერსალის ხელშეკრულების ცალკეული მუხლების შინაარსისა და ამ ხელშეკრულებით გამოწვეულ ტერიტორიულ ცვლილებათა შესახებ.

ბრალმდებელი წინადადებას იძლევა ნება დაერთოს ზაიდლს მის მიერ სიტყვის წარმოთქმის დროს ისარგებლოს ამ დოკუმენტების ნაწყვეტებით, მაგრამ იმ პირობით, რომ ტრიბუნალმა გადასწყვიტოს, თუ ამ დოკუმენტებიდან რა ეხება საქმის და რა არ ეხება. ბრალმდებელს მიზანშეუწონლად მიაჩნია ამ მესამე წიგნის დოკუმენტების პროცესის ახლანდელ სტადიაში გამოქვეყნება.

დამცველი ზაიდლი წინააღმდეგია ბრალმდებლის წინადადებისა.

ბრალმდებელსა და დამცველთა შორის ამ საკითხზე გამართული დისკუსიით მთავრდება ტრიბუნალის დილის სხდომა.

26 მარტის საღამოს სხდომა

ნიურნბერგი, 26 მარტი. (საკდესი). იმის გამო, რომ ბრალდებულმა ჰესმა თავისი დამცველის პირით განაცხადა, რომ არა სურს დაკითხულ იქნას, ტრიბუნალი შეუდგა ბრალდებულ რიბენტროპის საქმის მოსმენას.

ისარგებლა რა მისთვის მიცემული სიტყვით, ბრალდებულ რიბენტროპის ადვოკატი ჰორნი, დოკუმენტების წარდგენის ნაცვლად, შეუდგა რიბენტროპის დეკლარაციის გადმოცემას.

თავმჯდომარემ შეაჩერა ჰორნი და მიუთითა მას, ამაზე თვითონ ბრალდებული ილაპარაკებსო.

ამის პასუხად ჰორნმა გამოაცხადა, რომ ბრალდებულ რიბენტროპს ემჩნევა ლაპარაკის უნარის დაკარგვა და ამიტომ მას, დამცველს, სურს თვითონ იკისროს ბრალდებულის ჩვენების ნაწილის გადმოცემა. ხოლო ბრალდებულს, ამბობს დამცველი, შეეძლება დაადასტუროს ნათქვამი.

შესვენების შემდეგ ბრალდების ამერიკელი წარმომადგენელი დოდი ტრიბუნალს უცხადებს, რომ, დამცველის მტკიცების მიუხედავად, რიბენტროპი სავსებით ჯანმრთელია, თუმცა, ექიმის განცხადებით, საკმაოდ ნერვიულობს. ბრალდებულის ნერვების ცუდი მდგომარეობა ბრალმდებელს არ მიაჩნია იმის დაბრკოლებად, რომ მოხდეს ბრალდებულის ჯვარედინი დაკითხვა.

დამცველი ჰორნი იწყებს დოკუმენტების წარდგენას და ვრცელი ციტატები მოჰყავს რიბენტროპის მიერ 1936 წლის 19 მარტს წარმოთქმული სიტყვიდან. ამ სიტყვაში რიბენტროპი ცდილობს საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული პაქტით გაამართლოს გერმანიის პოლიტიკა. დამცველი ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს რიბენტროპი მხოლოდ პაიკი იყო ჰიტლერის ხელში. მას მოჰყავს ციტატები ჰიტლერის მიერ 1940 წლის 19 ივნისს წარმოთქმული სიტყვიდან, რომელშიც ჰიტლერი ყოველნაირად აქებს რიბენტროპის წარმატებით საქმიანობას. ჰიტლერი არწმუნებდა თავის მსმენელებს, რომ რიბენტროპი ისე ატარებდა მის, ჰიტლერის, პოლიტიკას, როგორც მხოლოდ თვითონ ჰიტლერს შეეძლო ამ პოლიტიკის გატარება.

დამცველი მოწმედ იწვევს საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილ სტატს-მდივან შტეენგრახტს. თავის ჩვენებას მოწმე იწყებს იმის მტკიცებით, თითქოს რიბენტროპს ფრიად შორეული დამოკიდებულება ჰქონდა გერმანიის საგარეო პოლიტიკის წარმართვასთან. ამ პოლიტიკას, აცხადებს მოწმე, წარმართავდა თვითონ ჰიტლერი. ორი წუთის შემდეგ მოწმე აღნიშნავს, რომ გერმანიის საგარეო პოლიტიკაში სრული ქაოსი სუფევდა. ბერლინში არ ყოფილა არც ერთი ორგანიზაცია, რომელსაც არ ჰქონოდეს საგარეო პოლიტიკის სპეციალური ბიურო. ეს ბიუროები ცდილობდნენ გავლენა მოეხდინათ გერმანიის საგარეო პოლიტიკაზე. ისინი ადგენდნენ მოხსენებებსა და პროექტებს, სწერდნენ ჰიტლერს სპეციალურ ბარათებს. მოწმე აცხადებს, რომ ამ ბიუროების რიცხვი 30-ს აღწევდა. პროპაგანდის სამინისტროს საგარეო პოლიტიკის განყოფილებისა და როზენბერგის ბიუროს გარდა, საგარეო პოლიტიკას ეწეოდნენ ორგანიზაცია „ჰიტლერული ახალგაზრდობა", მოიერიშე რაზმები, „შრომის ფრონტი", მცველი რაზმები, ჩრდილოეთის საზოგადოება, გერმანიის აკადემია, რაიხსბანკი და მრავალი სხვა. მოწმის მტკიცებით ჰიმლერი, გებელსი და ბორმანი, რომლებიც თავს თანდაყოლილ დიპლომატებად სთვლიდნენ, ყოველ მოხერხებულ თუ უხერხულ შემთხვევაში ერეოდნენ გერმანიის საგარეო პოლიტიკაში.

ამავე დროს მოწმე ყოველნაირად ცდილობს შეამციროს რიბენტროპის როლი ჰიტლერის ყაჩაღურ საგარეო პოლიტიკაში.

მოწმის ჩვენების ბოლო წარმოადგენდა რიბენტროპის ერთიან ქება-დიდებას.

ამით დამთავრდა ტრიბუნალის საღამოს სხდომა.

27 მარტის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 27 მარტი. (საკდესი). ტრიბუნალის 27 მარტის დილის სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდებულების რიბენტროპის, პაპენისა და კაიტელის დამცველების მიერ მოწმე შტეენგრახტის დაკითხვა.

დამცველების შემდეგ მოწმის დაკითხვას იწყებს ბრალდების ინგლისელი წარმომადგენელი პოლკოვნიკი ფილიმორი. იგი მოწმეს სთხოვს განმარტოს, თუ რას გულისხმობს იგი ტერმინით „ტიპიური ნაციონალ-სოციალისტი", რომელიც მოწმემ ახსენა თავისი ჩვენების მსვლელობაში.

მოწმე ამბობს, რომ „ტიპიურ ნაციონალ-სოციალისტებად" იგი სთვლის იმ ადამიანებს, რომელნიც ფანატიკურად იზიარებდნენ ჰიტლერიზმის ყველა დოქტრინას და რომლებისთვისაც ჰიტლერის აზრი უდავო იყო.

— ამრიგად,—ეკითხება ბრალმდებელი, — „ტიპიურ ნაციონალ-სოციალისტებად" შეიძლებოდა ჩათვლილიყვნენ ადამიანები, რომლებიც, მაგალითად, მონაწილეობას იღებდნენ ებრაელების დევნა-ჟლეტაში, ეკლესიის დევნაში და სხვ.

მოწმე გრძნობს, რომ მისი პირდაპირი პასუხით შეიძლება მხილებულ იქნან მისი ყოფილი უფროსები და პატრონები, რომლებიც ბრალდებულის სკამზე სხედან, და მყისვე იწყებს თავის დაძვრენას. იგი აცხადებს, რომ „ფანატიკოს ნაციონალ-სოციალისტების" უმეტესმა ნაწილმა თითქოს არ იცოდა, თუ რა სისასტიკე ხდებოდა.

— თქვენ,—ამბობს ბრალმდებელი,—წინათ აჩვენეთ, რომ ბრალდებულ რიბენტროპს არ შეეძლო პასუხი ეგო ოკუპირებულ ტერიტორიაზე წარმოებული მოქმედებისათვის. როგორღა მოხდა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაჰკარგა ეს პასუხისმგებლობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე?

მოწმე ცდილობს იმით ახსნას ეს, რომ მთელი ძალაუფლება ოკუპირებულ ტერიტორიებზე გადადიოდა სამხედრო სარდლობისა და სხვა საოკუპაციო ხელისუფალთა ხელში და რომ თითქოს ამასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტროს უფლება არა ჰქონდა მოლაპარაკება ეწარმოებინა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მთავრობებთან. მოწმის სიტყვით, საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთვალყურენიც კი გაწვეულ იქნენ გერმანიის მიერ ოკუპირებული ქვეყნებიდან.

ბრალმდებელმა წარადგინა დოკუმენტები, რომლებიც ამხილებენ მოწმის ჩვენების სიცრუეს როგორც ამ საკითხში, ისე იმაშიც, თითქოს ბრალმდებელი რიბენტროპი ებრაელებს არ სდევნიდა.

დაკითხვას იწყებს ბრალდების ამერიკელი წარმომადგენელი პოლკოვნიკი ემინი. იგი ეკითხება მოწმეს, ადასტურებს თუ არა ის თავის ჩვენებას, რომ ბრალდებული რიბენტროპი „ტიპიური ნაცისტი" არ იყო. მოწმე დადებითს პასუხს იძლევა.

— მიგაჩნიათ თუ არა გერინგი „ტიპიურ ნაცისტად"?

სანამ ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს გასცემდეს, მოწმე აცხადებს, რომ გერინგი იბრძოდა ძალაუფლების მოპოვებისათვის, ბევრჯერ გამოდიოდა კრებებზე და სრულიად სხვა მდგომარეობა ეკავა პარტიაში. ბრალმდებელი მოითხოვს პირდაპირ პასუხს: ჰო თუ არა. მოწმე თავის დაძვრენის მიზნით თავს არიდებს პირდაპირ პასუხს, მაგრამ შემდეგ აცხადებს: „გერინგი განსაკუთრებული სახის პიროვნება იყო. მე ვერ ვუწოდებ მას ნაცისტს, თუ ეს ცუდ რამეს ნიშნავს".

ბრალმდებელი: კარგი,—მაშინ გვიპასუხეთ, იცნობთ თუ არა ყველა ამ „ჯენტლმენს", რომელნიც ამჟამად აქ ბრალდებულის სკამზე სხედან? (დარბაზში სიცილია).

მოწმე: დიახ, რასაკვირველია.

ბრალმდებელი: მაშინ სთქვით, თქვენი თვალსაზრისით მათ შორის ვინ არის „ტიპიური ნაცისტი" იმ კრიტერიუმის თანახმად, რომელიც თქვენ გუშინ რიბენტროპის მიმართ გამოიყენეთ.

მოწმე აშკარად ნერვიულობს, რადგან მას ყველა ბრალდებული პირდაპირ უცქერის, და ბოლოს ნელი ხმით ასახელებს როზენბერგს, ჰესსა და ფრანკს.

ბრალმდებელი: შეიძლება თუ არა აქედან დავასკვნა, რომ თქვენი აზრით მარტო როზენბერგი, ჰესი და ფრანკი არიან ტიპიური ნაცისტები თქვენი კრიტერიუმის თანახმად?

უპასუხებს რა ბრალმდებლის შემდგომ კითხვებზე, მოწმე ასახელებს ზაუკელს, შირახს, შტრაიხერს.

ბრალმდებელი არკვევს, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა წყაროებიდან მრავალი საჩივარი შედიოდა ჰიტლერელთა მხეცობის შესახებ საკონცენტრაციო ბანაკებში და რომ ყველა ეს საჩივარი განუხილველი რჩებოდა.

ბრალმდებელი: ვინ გაძლევდათ თქვენ ინსტრუქციებს არავითარი ზომები არ მიგეღოთ შემოსული საჩივრების გამო?

მოწმე: ეს ბრძანებები მოდიოდა უშუალოდ ჰიტლერისაგან. მე კი ამ ბრძანებებს რიბენტროპის მეშვეობით ვიღებდი.

შტეენგრახტის ჯვარედინ დაკითხვას იწყებს ბრალდების საბჭოთა წარმომადგენელი ამხ. ზორია. იგი მოწმეს მოაგონებს, რომ წინადღით ტრიბუნალის დარბაზში ჩვენების მიცემის დროს მოწმემ განაცხადა: „გერმანიის საგარეო პოლიტიკაზე, საგარეო საქმეთა სამინისტროს გარდა, გავლენას ახდენდა მრავალი პირი და დაწესებულება". ბრალმდებელი სთხოვს შტეენგრახტს სთქვას, თუ ბრალდებულის სკამზე მსხდომთაგან სახელდობრ ვინ ცდილობდა გავლენა მოეხდინა და რამდენად ახდენდა გავლენას გერმანიის საგარეო პოლიტიკაზე; ამის პასუხად შტეენგრახტი აპირებს წარმოსთქვას ვრცელი სიტყვა საგარეო პოლიტიკის შესახებ, მაგრამ ამხ. ზორია სთხოვს მას დეკლარაცია კი არ გააკეთოს გერმანიის საგარეო პოლიტიკის შესახებ, არამედ სრულიად ზუსტი პასუხი გასცეს შეკითხვაზე. მაშინ მოწმე ისე აჩვენებს თავს, თითქოს შეკითხვა ვერ გაიგო, მერმე ზოგადი ფრაზებით უპასუხებს და მხოლოდ დაჟინებითი განმეორებითი წინადადების შემდეგ — არ წარმოსთქვას სიტყვები — ასახელებს ბრალდებულებს როზენბერგს, ფრანკს, ზაისინკვარტს და, ბოლოს, გერინგს.

ამის შემდეგ ბრალდების საბჭოთა წარმომადგენელი გადადის მოწმის ჩვენების იმ ნაწილზე, რომელიც მან წინადღით მისცა და რომელშიც შტეენგრახტმა ილაპარაკა მტრობის შესახებ, რაც თითქოს, რიბენტროპსა და ჰიმლერს შორის არსებობდა. სამინისტროს ყოფილი სტატს-მდივანი კვლავ ირწმუნება, თითქოს რიბენტროპსა და სს-ისა და გესტაპოს ხელმძღვანელთა შორის საქმიანი კონტაქტი არ არსებობდა, რომ ისინი შემთხვევით ხვდებოდნენ ერთმანეთს, ხოლო სპეციალური შეხვედრები მათ შორის არ ხდებოდა, მაშინ ამხ. ზორია აცნობს მოწმეს ბრალდების საბჭოთა წარმომადგენლის მიერ წინათ წარდგენილ დოკუმენტს, რომელიც ტრიბუნალმა უკვე მიიღო როგორც დამამტკიცებელი საბუთი. ეს დოკუმენტი წარმოადგენს შეთანხმებას ჰიმლერსა და რიბენტროპს შორის სადაზვერვო მუშაობის მოწყობის შესახებ. დოკუმენტი რომ დაინახა, მოწმე იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ასეთი შეთანხმება მართლაც მოხდა, და უფრო მეტიც, სწორედ საგარეო საქმეთა სამინისტრო იბრძოდა ამ დოკუმენტის შედგენისათვის.

ბრალდების საფრანგეთის წარმომადგენლის მიერ მოწმისათვის რამდენიმე შეკითხვის მიცემის შემდეგ ცხადდება შესვენება.

კუბაზე სამხედრო ბაზების საკითხისათვის

ნიუ-იორკი, 25 მარტი. (საკდესი). ლათინური ამერიკის სააგენტოს პრენსა კონტინენტალის კორესპონდენტი ჰავანიდან იუწყება, რომ სოციალისტური პარტიის ორგანო „ოი" კვლავ მოითხოვს, რათა შეერთებულმა შტატებმა დააბრუნონ კუბაზე ომიანობის დროს შექმნილი სამხედრო ბაზები. გაზეთი სწერს: „კუბამ ცხადი უნდა გახადოს საზოგადოებრივი აზრის წინაშე ყოველივე ის, რაც სამხედრო ბაზებს შეეხება და შეეცადოს მოიპოვოს დახმარება იმისათვის, რომ საკითხი სამართლიანად გადაწყდეს. თუ კუბა ვერ მოახერხებს შეთანხმების მიღწევას ნორმალური დიპლომატიური მეთოდების გზით, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ამჟამად არსებული შესაძლებლობა და საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე დავსვათ".

ფინეთის ახალი მთავრობის პროგრამა

ჰელსინკი, 28 მარტი. (საკდესი). გუშინ ფინეთის დედაქალაქის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა ახალი მთავრობის პროგრამა, რომელშიც ნათქვამია, რომ მთავრობა თავის მოვალეობას შეასრულებს სეიმის თანხმობით და განაგრძობს იმავე პოლიტიკას, რომელსაც ახორციელებდა ახლა გადამდგარი ძველი მთავრობა.

„ჩვენი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, — ნათქვამია პროგრამაში, — იყო და შემდგომშიც იქნება დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების პირობების ზუსტი შესრულება, აგრეთვე ჩვენი საგარეო პოლიტიკის ისეთი ხელმძღვანელობა, რაც უზრუნველჰყოფს საბჭოთა კავშირსა და გაერთიანებულ ერებთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას და განვითარებას".

მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები პოლონეთში

ვარშავა, 28 მარტი. (საკდესი). როგორც ვარშავის რადიო იუწყება, მთავარმა სტატისტიკურმა სამმართველომ გამოაქვეყნა პოლონეთის ტერიტორიაზე მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები, რაც 1946 წლის 14 თებერვალს მოხდა. აღწერის თანახმად, პოლონეთში ცხოვრობს 23.622.334 კაცი. ქალაქის მოსახლეობა შეადგენს 31 პროცენტს, სოფლისა კი — 69 პროცენტს. ლოძში ცხოვრობს 496.861 კაცი. მცხოვრებთა რაოდენობით მეორე ქალაქია ვარშავა, სადაც 476.538 კაცი ცხოვრობს.

ვან აკერს მიენდო მთავრობის შედგენა

პარიზი, 27 მარტი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო ბრიუსელიდან იუწყება, რომ ბელგიის ახალი მთავრობის შედგენა მიენდო ვან აკერს (სოციალისტური პარტიის წევრს).

მდგომარეობა ინდონეზიაში

ჰააგა, 28 მარტი. (საკდესი). ჰოლანდიის სააგენტო ანპის მიერ ბატავიიდან მიღებულ ცნობებში ნათქვამია, რომ ინდონეზიელები განაგრძობენ ბრძოლას ბანდუნგისათვის. 24 მარტს ქალაქში ხანძრები დაიწყო. ყველგან ისმის უდიდესი ძალის აფეთქების ხმა. ინგლისის 23-ე დივიზიის ჯარისკაცებმა შეაღწიეს ბანდუნგის სამხრეთი ნაწილის ზოგიერთ უბანში.

ბანდუნგიდან განუწყვეტლივ მიდიან ინდონეზიელთა და ჩინელთა ოჯახები.

კუნძულ ლომბოკზე ინგლისის ხელისუფალნი რეპრესიებს მიმართავენ ეროვნული მოძრაობის მონაწილეთა წინააღმდეგ. ეროვნული მოძრაობის ბევრი ხელმძღვანელი კუნძულზე, აგრეთვე პედაგოგები დაპატიმრებულია. ამის გამო ქალაქ მატარამიდან გაიქცა მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც ეროვნულ მოძრაობას თანაუგრძნობს.

შორეული აღმოსავლეთის კომისიის მორიგი სხდომა

ვაშინგტონი, 27 მარტი. (საკდესი). მორიგი ყოველკვირეული სხდომის შემდეგ, რაც 27 მარტს შესდგა, შორეული აღმოსავლეთის კომისიის წარმომადგენელმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ კომისიამ განიხილა რამდენიმე კომიტეტის ანგარიშები და შექმნა იაპონიის განიარაღების ახალი კომიტეტი. „ეს კომიტეტი,—განაცხადა წარმომადგენელმა, — იმუშავებს იაპონიის შეიარაღებული ძალების განიარაღებისა და დაშლის საკითხებზე, გამოარკვევს შეიარაღებისა და სამხედრო მოწყობილობის ბედს, აგრეთვე კონტროლს გაუწევს შეიარაღებას, რაც საჭიროა შინაგანი საპოლიციო სამსახურის გასაწევად იაპონიაში".

ბულგარეთის პრესა მოითხოვს გამცემ ცანკოვის გადაცემას

სოფია, 28 მარტი. (საკდესი). ბულგარეთის პრესა მოითხოვს, რათა ბულგარეთის ხელისუფალთ გადასცენ ალექსანდრე ცანკოვი, რომელიც ამჟამად ვენაში იმყოფება.

გაზეთი „დენი" სწერს, რომ ცანკოვი არის არა მარტო ბულგარელი ხალხის ჯალათი, არამედ სამშობლოს მოღალატეც, რომელმაც ჰიტლერის დასახმარებლად მოაწყო ბულგარეთის, იუგოსლავიისა და მოკავშირეთა ხალხების წინააღმდეგ საბრძოლველად განკუთვნილი კორპუსი.

დღეს ჩვენს ხალხს, — სწერს გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი", — მთელ კაცობრიობასთან ერთად, ფაშიზმზე საერთო გამარჯვების შემდეგ, უხარია მშვიდობიანი ცხოვრება. ალექსანდრე ცანკოვი თავის ძველ ჰიტლერელ მეგობრებთან ერთად კვლავ ინტრიგებს აწყობს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

მასწავლებელთა გაფიცვა შანხაიში

შანხაი, 28 მარტი. (საკდესი). როგორც გაზეთი „დაგუნბაო" იუწყება, შანხაის საყოველთაო საგაფიცვო მოძრაობის კულმინაციური პუნქტი იყო იმ საშუალო სკოლათა მასწავლებლების მიერ გაფიცვის გამოცხადება, რომელთაც აფინანსებენ შანხაის მუნიციპალური ხელისუფალნი. მასწავლებლები მოითხოვენ ხელფასის მომატებას.

ბულგარეთის ახალი კაბინეტის შედგენის წინ

სოფია, 27 მარტი. (საკდესი). გუშინ საღამოს ინფორმაციის სამინისტრომ კომუნიკე გამოსცა ახალი კაბინეტის შედგენასთან დაკავშირებით.

„განაგრძობდა რა შეხვედრებს ახალი მთავრობის შექმნასთან დაკავშირებით,—ნათქვამია კომუნიკეში,—პრემიერ-მინისტრმა კიმონ გეორგიევმა სამშაბათს დილით თანმიმდევრულად მიიღო ოპოზიციის წარმომადგენლები, სახელდობრ 15 საათსა და 30 წუთზე—პეტკოვი, 17.00 საათზე კოსტა ლულჩევი და პეტკო ტარპანოვი. მათ ჩამოაყალიბეს თავიანთი პარტიების ხელმძღვანელობის შეხედულებანი მთავრობაში ამ პარტიების შესაძლო მონაწილეობის შესახებ. აღინიშნა უთანხმოებანი, რომლებთან დაკავშირებითაც პრემიერ-მინისტრმა წინადადება მისცა მათ განიხილონ ზოგიერთი დებულებანი და შეატყობინონ მას თავიანთი პასუხი არა უგვიანეს ოთხშაბათის სადილობამდე".

დღეს შესდგება ახალი შეხვედრა, რომლის დროსაც ოპოზიციის წარმომადგენლები აცნობებენ პრემიერს თავიანთს საბოლოო თვალსაზრისს.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 26 მარტი. (საკდესი). 26 მარტის სხდომაზე უშიშროების საბჭო შეუდგა დღის წესრიგის განხილვას. მთელი სხდომა მოუნდა იმ წინადადების განხილვას, რომ დღის წესრიგში შეეტანათ ირანის საკითხი. სსრ კავშირის წარმომადგენელმა ამხ. გრომიკომ წინადადება წამოაყენა არ შეეტანათ ეს საკითხი უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში. მან დაიმოწმა ის, რომ საბჭოთა კავშირისა და ირანის მთავრობებს შორის მოლაპარაკების შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება საბჭოთა ჯარების ევაკუაციის შესახებ ირანის იმ რაიონებიდან, რომლებშიც ისინი ჯერ კიდევ იმყოფებოდნენ, და რომ საბჭოთა ჯარების ევაკუაცია 2 მარტს დაწყებული, უკვე განახლდა 24 მარტს და დამთავრდება 5-6 კვირის განმავლობაში, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი გარემოებები არ წამოიჭრა.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ბირნსმა, უპასუხა რა ამხ. გრომიკოს, დაჟინებით მოითხოვა დღის წესრიგში ირანის საკითხის შეტანა. მას შეუერთდა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი კადოგანი. მსჯელობის შედეგად შეიქმნა კომისია სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის წარმომადგენელთაგან. ამ კომისიას დაევალა გაარჩიოს უშიშროების საბჭოში ირანის საკითხის განხილვის პროცედურა.

„საისტორიო მოამბის" პირველი ტომი

გამოვიდა საქართველოს სსრ შინსახკომის საარქივო სამმართველოს ორგანოს—„საისტორიო მოამბის" პირველი ტომი, რომელშიც მოთავსებულია შემდეგი გამოკვლევები: 1. პროფესორ ს. კაკაბაძის „ორი სიგელი XIII საუკუნისა", 2. ა. გაბიჩვაძის „გორის ციხე ერეკლე II დროს", 3. პროფესორ ლ. მელიქსეთ-ბეგის „საქართველოს მეფის ერეკლე II და რუსეთის იმპერატორის პავლე I სიგელები მხარგრძელთადმი", 4. ა. იოვიძის „ნიკო ნიკოლაძე და მეფის ცენზურა", 5. ა. კ.-ლის „გლეხთა შეიარაღებული აჯანყება სვანეთში 1875-1876 წლებში", 6. პროფესორ შ. ჩხეტიას „მრეწველობა კავკასიაში XIX საუკუნის დასასრულს" და 7. მ. გაბრიჩიძის „საბატონო ყმების მღელვარება იმერეთში 1857 წელს".

წიგნი შეიცავს 334 გვერდს და ღირს 60 მანეთი.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

30 მარტს, დილის 9 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა მუშაკებისა და საწარმოთა პარტკაბინეტების გამგეებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„ლენინის წიგნი „რა ვაკეთოთ?"**

სემინარს ქართულ ენაზე ჩაატარებს დოცენტი **გორგილაძე,** რუსულ ენაზე—პროფესორი **აზატიანი.**

30 მარტს, საღამოს 8 საათზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის ამხ. **ნოლიანისი** ჩაატარებს ინდივიდუალურ კონსულტაციას.

29 მარტს, საღამოს 8 საათზე, მიმდინარე პოლიტიკის წრეების პროპაგანდისტებისა, ლექტორებისა და მომხსენებლებისათვის შესდგება კონსულტაცია თემაზე: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

კონსულტაციას ჩაატარებს ამხ. **პავჩინსკი.**

ლექციები

29 მარტს, საღამოს 8 საათზე, საავიაციო ტექნიკუმის დარბაზში (კამოს ქ. № 70) შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია თემაზე: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

ბილეთების შეძენა შეიძლება საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში (25 თებერვლის ქ. № 2) და ლექციის დაწყების წინ დარბაზის შესასვლელთან.

29 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 11) შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

ლიტერატურული საღამო

30 მარტს, საღამოს 8 საათზე, ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კლუბში შესდგება ლიტერატურული საღამო. მოხსენებას თემაზე —„თანამედროვე ქართული საბჭოთა ლიტერატურა"—გააკეთებს ბესო ჟღენტი.

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები: ი. გრიშაშვილი, გ. ქუჩიშვილი, რ. მარგიანი, ი. ნონეშვილი და გ. კაჭახიძე.

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა—29/III — „აბესალომ და ეთერი", 30/III — დღისით — „ქეთო და კოტე", საღამოს—„ტოსკა". **რუსთაველის სახელობის** — 29/III—„დიდი ხელმწიფე", 30/III — დღისით — „ხევისბერი გოჩა", საღამოს — „საპატარძლო აფიშით". **მარჯანიშვილის სახელობის** —29/III — „დავით აღმაშენებელი", 30/III — „შესაფერი ჯილდო". **გრიბოედოვის სახელობის** —29/III — „თვითმფრინავი დღე-ღამეს იგვიანებს", 30/III — „ასეც იქნება". **მუსიკალური კომედიის**—29/III—„არშინ მალ-ალან", 30/III —დღისით — „სილვა", საღამოს — „მზის დაბნელება".

კინოებში

29 მარტს: **რუსთაველის სახელობის და ოქტომბერი** — „სპილოების პატარა მეწყემსი". **დამკვრელი** — „არშინ მალ-ალან" (აზერბაიჯანულ ენაზე). **სპარტაკი**—„დავით გურამიშვილი". **ლუქსემბურგის სახელობის** — „სილვა". **26 კომისრის სახელობის**—„არშინ მალ-ალან" (აზერბაიჯანულ ენაზე). **კომკავშირელი** — „არშინ მალ-ალან".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

შაბათს, 30 მარტს, საღამოს 9 საათზე **რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში** გაიმართება საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო **ანსამბლის პირველი კონცერტი**

მხატვრული ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი **გრიგოლ კოკელაძე,** ქორეოგრაფი **ჯანო ბაგრატიონი.**

ბილეთების შეძენა შეიძლება ორგანიზაციების წინასწარი განაცხადით რუსთაველის საკონცერტო დარბაზის სალაროში დილის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 10 საათამდე.

მოქალაქე **კონსტანტინე ივანეს-ძე სემენკოვმა,** მცხოვრებმა აწყურის ქ. № 3, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ანტონინა თევდორეს-ასულ სემენკოვასთან** განქორწინების შესახებ, საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის II უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ვასილ სოლომონის-ძე არაქელაშვილმა,** მცხოვრებმა საჭანელას დაღმართზე № 18, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ევგენია ალექსანდრეს-ასულ ყეინაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

გუგულა და ზაქრო შანშიაშვილები, მარუსა, ვალიკო და შურა ლოლაძეები იუწყებიან **ნინო სამსონის-ასულ ლოლაძის** გარდაცვალებას.

თედორე, ნინო ცხომელიძეები, ვასილ, სანდრო, ემელია, ანეტა, ლეონინა ვახაძეები იუწყებიან **მარიამ დიმიტრის-ასულ ცხომელიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 31/III, 2 ს. ფურცელაძის, 8.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეაბრეშუმეობის ფაკულტეტის პედპერსონალი და სტუდენტობა იუწყებიან სტუდენტ **ვენერა იასონის-ასულ ქუთათელაძის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან ძ. ჩხეტიას ძმის **გიორგი ალექსანდრეს-ძე ჩხეტიას** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.81.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.73.24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3.80.83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, მორიგისა და გამომშვების—3.81.65, გამომცემლობის—3.51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 00137